საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 30 იანვარი. 2018 წ. №18-19 (8419-8420), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ლორა თორნტონი:

ტრამპი რუკაზე საქართველოს დიდი ალბათობით ვერც იპოვის!

ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ!

NDI-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი საკუთარი კომენტარის გამო ბოდიშის მოხდას არ აპირებს.

„მე ვარ ამერიკის მოქალაქე. ეს არის ჩემი პირადი მოსაზრება, რომელზეც პოზიცია ჩემს პირად გვერდზე გამოვხატე. ამისთვის ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ“, – განაცხადა ლორა თორნტონმა.

ლორა თორნტონმა რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სტატუსი: **„გასულ ღამეს, „იმედის“ ჟურნალისტმა სიტყვასიტყვით მკითხა, ხომ არ გეგმავდა NDI აშშ-ის და რუსეთის სამხედრო ძალებზე კითხვის ფორმულირებით ამერიკის პრეზიდენტის რუსეთთან დაპირისპირების ლობირებას. ხმამაღლა გამეცინა. ტრამპი რუკაზე საქართველოს დიდი ალბათობით ვერც იპოვის, არათუ თვალს ადევნებს აქ ჩატარებული კვლევის შედეგებს! მაგრამ მე მომწონს ვარაუდი, თითქოს ამხელა გავლენა გვაქვს!“,** – დაწერა ლორა თორნტონმა Facebook-ის პირად გვერდზე.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი მეზურნიშვილი NDI-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს მის მიერ გაკეთებული განცხადების გამო ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდებდა, მაგრამ...

საქართველოს ეროვნული ბანკის გაფრთხილება

2018 წლის 11 იანვარს ძალაში შესული კანონის შესაბამისად, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, საბროკერო კომპანიის საქმიანობას დაემატა უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმის ორგანიზების გაწევა. ცვლილების შედეგად, სავაჭრო პლატფორმის საშუალებით უცხოური ვალუტით ვაჭრობის ორგანიზება ლიცენზირებული საქმიანობა გახდა და დაექვემდებარა ეროვნული ბანკის რეგულირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმით ვაჭრობის ორგანიზების უფლებამოსილება მიეცათ მხოლოდ ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიებს.

ამასთან, პირები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის საქმიანობას უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით ახორციელებენ, ვალდებულნი არიან, კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში მოიპოვონ საბროკერო საქმიანობის ლიცენზია.

ეროვნული ბანკი მოუწოდებს მოქალაქეებს, ელექტრონულ სავალუტო ბაზრებზე ვაჭრობისას, მხედველობაში მიიღონ ზემოაღნიშნული გარემოებები.

ქართულო მიწავ, კიდევ უნდა დაპატარავდე?!

აზერბაიჯანული პრესა:

საზღვართან დაკავშირებით ქართველები კომპრომისზე უნდა წავიდნენ, თბილისს შეუძლია, რაღაც დათმოს

4

ციფრული ტექნოლოგიები:

გამჭვირვალე ავისმომასწავებელი აჩრდილი

18

„უცილობლობს ვითა ჯორი!“

მაინც, რამდენჯერ უნდა ჩაისვარო, მიხეილ!

3



20

„ჰოლივუდის ხეივანში“ ქართველ მსახიობს გიორგი დარჩიაშვილს ვარსკვლავი გაუხსნეს

გრანი ქავთარია:

7

ქვაზე ამოკვეთილი კანონები

ლიტვა საქართველოს ძალიან გულწრფელი და სანდო მეგობარია!

საქართველო-ლიტვის ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი საკითხები და ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გააქტიურება იყო მთავარი თემები ორი ქვეყნის დელეგაციების გუშინდელ შეხვედრაზე.

პრემიერ-მინისტრებმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი არსებულ პოზიტიურ დინამიკას.

— ძვირფასო პრემიერ-მინისტრო, წელს თქვენი სახით ჩვენ პირველად ვმასპინძლობთ სახელმწიფოს მეთაურს. ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა თქვენი და თქვენი დელეგაციის სტუმრობა საქართველოში. თქვენ ხართ იმ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ერთ-ერთ ყველაზე მტკიცე მხარდამჭერს. მივესალმებით ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების მზარდ დინამიკას. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი პოლიტიკური ურთიერთობები. სასიხარულოა, რომ გასულ წელს დაფიქსირდა მზარდი დინამიკა ჩვენს ეკონომიკურ თანამშრომლობაში, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ასევე ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტისადმი მტკიცე მხარდაჭერა დაადასტურა ლიტვის პრემიერმა.

— ჩემთვის ძალიან სასიხარულოა საქართველოში სტუმრობა. ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის არ არის უბრალოდ ფორმალური, ეს არის ნამდვილი მეგობრული ურთიერთობები, რომლებიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და ეფუძნება საერთო ტრადიციებს. ლიტველებს და ქართველებს განსაკუთრებული გრძნობები აკავშირებთ ერთმანეთთან. ჩვენს ერებს სისხლში აქვთ სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ და დემოკრატიისკენ და ეს კიდევ უფრო გვაერთიანებს. ჩვენ ასევე გვაერთიანებს ჩვენი საერთო მიდგომა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისადმი და საერთო გამოწვევები. ჩვენი ერები მტკიცედ იცავენ კანონის უზენაესობის პრინციპებს. ლიტვა ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ასევე ნატოს სტრუქტურებში ინტეგრაციას. გარდა ამისა, ლიტვა ყოველთვის უჭერდა და მომავალშიც დაუჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ჩემი მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით, კიდევ ერთხელ გარწმუნებთ, რომ საქართველოს ჰყავს ძალიან გულწრფელი და სანდო მეგობარი, — განაცხადა საულიუს სკვერნელისმა.

* * *

თქვენი შემართება — დაიცვათ საერთაშორისო მშვიდობა, ძალზე მნიშვნელოვანი არგუმენტი უნდა გახდეს საქართველოს ნატოს წევრობის პერსპექტივის თვალსაზრისით, — ამის შესახებ ლიტვის პრემიერ-მინისტრმა საულიუს სკვერნელისმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

საქართველო გახლავთ უმთავრესი სავაჭრო პარტნიორი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიტვისთვის. ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებული სითბო გაგვაჩნდა თქვენი ქვეყნის მიმართ და ჩვენი საერთო მიდგომები უსაფრთხოებისა და საერთაშორისო საკითხებისადმი, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარება გახლავთ ფუნდამენტური პრინციპები, რომელიც მყარად გვაკავშირებს.

ბოლო პერიოდში, საქართველოს აბსოლუტურად დამსახურებულად უწოდებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერს. ჩვენ საქართველოს ვულოცავთ აღნიშნულ მიდგომებს, ვულოცავთ ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმულ ნაბიჯებს და ასევე, მოხარულები ვართ, რომ საქართველო მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენს ამ მხარდაჭერას. დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველო შეინარჩუნებს ლიდერის პოზიციას. მივესალმებით თქვენს აქტიურ ჩართულობას ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში, მივესალმებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის შეთანხმებაზე ხელმოწერას, ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების წარმატებით შესრულებას.

ასევე, მე საქართველოს განვიხილავ ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და სანდო პარტნიორად. ჩვენ განსაკუთრებით მადლიერები ვართ საქართველოს მიერ ნატოს ოპერაციებში პრაქტიკული ჩართულობისათვის, მისიებში თქვენი სამხედრო მოსამსახურეების აქტიური მონაწილეობისათვის და თქვენი შემართება — დაიცვათ საერთაშორისო მშვიდობა, ძალზე მნიშვნელოვანი არგუმენტი უნდა გახდეს საქართველოს ნატოს წევრობის პერსპექტივის თვალსაზრისით.

„ნაციონალური მოძრაობა“ ღია კარს ამტვრევს!

— აცხადებს კახა კალახე თბილისის საბავშვო ბაღებში კვებისა და ჰიგიენური ნორმების პრობლემების შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების განცხადებების კომენტირებისას: **„ნაციონალურ მოძრაობას“ არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ღია კარს ამტვრევს. ის, რომ ჩვენ მივდივართ საკრებულოში, ვეესაუბრებით და კითხვებს ვცემთ პასუხებს, არის ნორმალური პროცესი და მე ამას მივესალმები. როგორც მთავრობის წინა სხდომაზე თქვენ ნახეთ, ისინი ცდილობდნენ, სპექტაკლი დაედგათ, მაგრამ ამის საშუალება არ მივეცით. მივეცით საშუალება, რომ მთავრობის სხდომაზე შემოსულიყვნენ და დასწრებოდნენ, როგორც ეს ნორმალურ, განვითარებულ ქვეყანაში ხდება. ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვართ. ჩვენ ვართ კონსტრუქციულები და გვინდა, რომ ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელოთ, გამოვასწოროთ არსებული ვითარება და თუ ისინიც მიიღებენ ამ პროცესში მონაწილეობას და იქნებიან კონსტრუქციულები, ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით. ბაღები იყო ავარიულ მდგომარეობაში. ჩვენ დავიწყეთ თუ არა მუშაობა და მოგვეცა თუ არა უფლებამოსილება, დავიწყეთ ამ საკითხის შესწავლა. გარკვეული დროის შემდეგ დაიდო კვლევის შედეგი და მივიღეთ მყისიერი გადაწყვეტილება. ჩვენ ძალიან სწრაფად დავიწყებთ აღდგენით, სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რათა ბავშვები დროულად დაუბრუნდნენ თავიანთ ბაღებს“,** — განაცხადა კალაძემ.

სატრანსპორტო პოლიტიკა კომპლექსურად მოგვარდება

— ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალახემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„სატრანსპორტო პოლიტიკაზე მუშაობა დაწყებულია. გარკვეული ცვლილებები იგეგმება. ეს არ არის მხოლოდ ერთი მიმართულება, ეს არის კომპლექსური პრობლემა ქალაქში: აქ არის ტრანსპორტის მოწესრიგება, პარკირების მოწესრიგება, ტაქსების რეგულაციები, ესტაკადების მშენებლობა და ა.შ. ერთიან კონტექსტში უნდა განვიხილოთ ყველაფერი, რომ საცობების პრობლემა მოგვარდეს, პარკინგები არსებობდეს, როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა. ეს ყველაფერი იქნება მოწესრიგებული“, — განაცხადა კალაძემ კითხვაზე გეგმავს თუ არა მერია „სტაიანშიკების“ გაკონტროლებას, რომლებიც პარკირების ადგილებში დგანან.

გიორგი ყაყიჩაშვილი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელია

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორად გიორგი ყაყიჩაშვილი დანიშნა.

ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი ყაყიჩაშვილი საერთაშორისო ექსპერტ-ანალიტიკოსია კონტრტერორიზმის, უსაფრთხოების, დაგეგმარებისა და კრიზისების მართვის საკითხებში. იგი 2015 წლის აგვისტოდან 2018 წლის იანვრამდე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებდა. 2014-2015 წლებში გიორგი ყაყიჩაშვილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი იყო, ხოლო 2013-2014 წლებში საქართველოს შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის საერთაშორისო ტერორიზმის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად მუშაობდა. 2010-2013 წლებში იგი საქართველოს შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში იყო სნაიპერების სამსახურის უფროსი, საბრძოლო სპეცდანაყოფის უფროსი, დაგეგმარების უფროსი, სნაიპერებისა და საბრძოლო დანაყოფების ინსტრუქტორი. 2000-2010 წლებში გიორგი ყაყიჩაშვილი იყო საქართველოს შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ობიექტებისა და პირადი დაცვების სამმართველოს დაცვის უფროსი, საქართველოს შსს-ს სპეციალური დანიშნულების სამმართველოს საბრძოლო სამსახურის ჯგუფის უფროსი, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირების პირადი დაცვის, სტრატეგიული შენობა-ნაგებობების დაცვის, სპეციალური დანიშნულების დანაყოფის ჯგუფის უფროსი და საქართველოს შსს-ს სპეციალური ოპერაციების (კონტრტერორისტული) ცენტრის ქვედანაყოფის უფროსი.

გიორგი ყაყიჩაშვილი 2016 წლიდან კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტია. 2006 წელს მან დაამთავრა საქართველოს იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტი, სამართლის მაგისტრია; 2005 წელს კი წარჩინებით დაამთავრა საქართველოს შსს-ს აკადემია.

დანამატები ქუმსიშვილის უწყებაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებში სახელფასო დანამატები გაიცემოდა სხვადასხვა საფუძვლით, თუმცა დანამატის გაცემის შემთხვევაში, ზეგანაკვეთური მუშაობის და განსაკუთრებული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა ორგანიზაციაში არ ხდებოდა.

ანგარიშის თანახმად, სამინისტროს სისტემაში თანამშრომლებზე 2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით სულ გაწეულია 28 933 136 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის, დანამატი 3 706 618 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 13%-ს შეადგენს.

„საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული“, — ნათქვამია ანგარიშში.

ტიმ სებასტიანი:

„თქვენ შეუშალეთ ხელი სამართლის აღსრულებას“

მწვავე კითხვები და სააკაშვილის დაბნეული პასუხები!

ტელეკომპანია „Deursche Welle“-ს გადაცემაში „CONFLICT ZONE“ სტუმრად მყოფ საქართველოს ექსპრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს** ჟურნალისტი **ტიმ სებასტიანი** უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, საქართველოში მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებსა და მისი მმართველობის დროს ჩადენილ დანაშაულებზე ესაუბრა.

ჟურნალისტი: 2008 წელს თქვენ ბოროტად გამოიყენეთ პრეზიდენტის ძალაუფლება და შეიწყალეთ პოლიციის ოთხი ოფიცერი, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ ბანკირის სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში. შეწყალების საფუძველი იყო მკვლელობის გარემოებების დაფარვა. თქვენ ამბობთ, რომ ეს ტყუილია.

სააკაშვილი: არა, თანამედროვე მსოფლიოში არავის გაუსამართლებია პრეზიდენტი შეწყალებისთვის. გახსოვთ, ალბათ, რომ პრეზიდენტმა კლინტონმა შეიწყალა თავისი...

ჟურნალისტი: აქ საქმე მხოლოდ შეწყალებაში არ არის, საქმე ეხება შეწყალებას მკვლელობის გარემოებების დაფარვის სანაცვლოდ.

სააკაშვილი: უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციით, პრეზიდენტს გააჩნია შეწყალების აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლება, მეორე — ამ ადამიანებმა მოიხადეს სასჯელი და შეწყალებული იქნენ 133 სხვა სამხედრო ოფიცერთან ერთად.

ჟურნალისტი: მაგრამ საქმეში უზარმაზარი ღიად დარჩენილი საკითხებია. 2011 წელს ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ მკაცრად გააკრიტიკა გამოძიება და დაგადანაშაულათ დანაშაულის დაფარვაში. აქ ნათქვამია, რომ გამოძიებაზე ზემოქმედება მოახდინა სახელმწიფო ხელისფლების სხვადასხვა უწყებამ, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, სასჯელაღსრულების სამინისტრო, ეროვნული სასამართლოები და საქართველოს პრეზიდენტი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ხელი შეუშალეს სამართლიანობის აღსრულებას. ეს უზარმაზარი ბრალდებაა თქვენ წინააღმდეგ.

სააკაშვილი: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით დეკემბერში აღნიშნა, რომ მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ამჟამად ციხეში იმყოფება, რეალურად წარმოადგენს მძევალს, ისინი ეძებდნენ რაიმე სახის მტკიცებულებას ჩემ წინააღმდეგ და იმის გამო, რომ მათ უარი მიიღეს მტკიცებულების წარმოდგენაზე, ეს იყოს სუფთა პოლიტიკური საქმე, საქართველოს მთავრობამ დაიქირავა მსოფლიოს ათი საუკეთესო გამომძიებელი, ანუ გადამდგარი გამომძიებლები...

ჟურნალისტი: თქვენ იმ დროს პრეზიდენტი იყავით...

სააკაშვილი: საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა, რომელსაც აკონტროლებს უდიდესი კერძო აქციონერი...

ჟურნალისტი: მაგრამ, ჩვენ 2011 წელზე ვსაუბრობთ, თქვენ იმ დროს პრეზიდენტი იყავით...

სააკაშვილი: დიახ, ნება მომეცით, გითხრათ, რა ხდება ახლა.

ჟურნალისტი: მოდით, ნუ გადაუხვევთ თემიდან და ვთქვათ, რა მოხდა მაშინ. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საქართველოში დიდი ვნებათაღელვა იყო.

სააკაშვილი: დიახ. ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა ეს საქმე, მაგრამ, მეორე მხრივ, პრეზიდენტს ჰქონდა შეწყალების შეუზღუდავი უფლება და ეს საქმე სუფთა პოლიტიკურია. მე ერთ რამეს გეტყვით...

ჟურნალისტი: მაგრამ, ბატონო მიხეილ, არსებობს მოსაზრება, რომ გირგვლიანი მოკლეს ერთ-ერთი თქვენი მაღალჩინოსანი კოლეგის ბრძანებით, ის ოთხი პოლიციელი კი დაარწმუნეს, რომ საკუთარ თავზე აეღოთ დანაშაული, სანაცვლოდ კი დიდი რაოდენობით ფულს და თავისუფლებას მიიღებდნენ.

სააკაშვილი: ადამიანები, რომლებმაც მკვლელობა ჩაიდინეს... გასამართლდნენ და მოიხადეს სასჯელის დიდი ნაწილი.

ჟურნალისტი: გასამართლდნენ, მაგრამ მოსამართლეს არც კი უკითხავს მკვლელობის მოტივი.

სააკაშვილი: ზუსტად ის მოსამართლე გამოყენებული იქნა ამ ხელისუფლების მიერ ჩემი მთავრობის წევრების წინააღმდეგ, ასე, რომ მოსამართლე, სამწუხაროდ...

ჟურნალისტი: და მოკლულის დედას დაემუქრნენ, ურჩიეს ჩუმად ყოფნა და შესთავაზეს ფული. ეს საქმე თავიდან ბოლომდე ბინძურია... არ მეთანხმებით?

სააკაშვილი: ერთი წუთით. ბატონო სებასტიან, ქვეყანა, რომელიც მე ჩავიბარე, იყო ჩამოშლილი. შეუძლებელი იყო ქვეყნის, სადაც არ იყო ბიუჯეტი, არ ფუნქციონირებდა ინსტიტუტები, გადაქცევა ბრწყინვალედ მოქმედი ინსტიტუტების ქვეყნად, წარმატებული რეფორმების ქვეყნად. მაგრამ შეუძლებელი იყო ასეთი ქვეყნის აბსოლუტურად სრულყოფილ ქვეყნად გარდაქმნა.

ჟურნალისტი: ეს არ არის გასასამართლებელი საბუთი იმისა, რომ სამართალი არ აღსრულდა.

სააკაშვილი: ლიბერალური დემოკრატია...

ჟურნალისტი: ეს არ ამართლებს იმ ფაქტს, რომ ხელი შეეშალა სამართლის აღსრულებას.

სააკაშვილი: ჩვენს სასამართლო სისტემაში ხარვეზები იყო, ეს სიმართლეა, ვაღიარებ.

ჟურნალისტი: ბრალდება მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ შეუშალეთ ხელი სამართლის აღსრულებას.

სააკაშვილი: ეს სიმართლე არ არის. ჩვენი სასამართლო სისტემა სუსტი იყო და დღეს ის უარეს მდგომარეობაშია.

ჟურნალისტი: მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვის მაჩვენებელიც არ იყო კარგი თქვენი ხელისუფლების დროს. თქვენ თავს დაესხით პრესას. მაგალითად, 2007 წელს „იმედის“ ტელევიზიაში შეიჭრა თქვენი უსაფრთხოების სამსახური, ფიზიკურად გაუსწორდნენ ჟურნალისტებს, გაანადგურეს ტექნიკა.

სააკაშვილი: მაგრამ, ერთი წუთით... ის ტელევიზია მალევე გავიდა ეთერში და დღესაც იქ არის.

ჟურნალისტი: მაგრამ თქვენ იმ ტელევიზიაში თქვენი კომისარი დანიშნეთ, რომელიც ხუთი წელი მართავდა მას.

სააკაშვილი: მის გარდა კიდევ უამრავი ტელევიზიაა. ჩემი მუშაობის მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ რეგიონში თავისი ნებით არავინ მიდის თანამდებობიდან. როდესაც მე სრული ძალაუფლება მქონდა, იმაზე მეტი, ვიდრე პოროშენკოს შეიძლება აქ ჰქონდეს, მე ჩემი ნებით დავტოვე თანამდებობა არჩევნების გზით. მე მთელი ძალაუფლება გადავეცი...

ჟურნალისტი: და რა, ასე არ უნდა მოქცეულიყავით?

სააკაშვილი: აბსოლუტურად.

ჟურნალისტი: იმის თქმას ცდილობთ, რომ ისეთი რამ გააკეთეთ, რაც ნორმალურ ქვეყანაში ნორმალურმა პრეზიდენტმა არ უნდა გააკეთოს?

სააკაშვილი: მე იმას ვამბობ, რომ ჩვენს რეგიონში ამას არავინ აკეთებს.

ჟურნალისტი: თედო ჯაფარიძე, რომელიც თქვენი ხელისუფლების დროს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, აცხადებს, რომ თქვენი პირველი ვადის ბოლოს ნათელი გახდა, რომ საკუთარ უფლებამოსილებას ურყევი ძალაუფლების შესაქმნელად იყენებდით. მმართველობის თქვენი სტილი იყო სრულიად მიუღებული, ავტორიტარული. დიახ, ეს ასე იყო...

http://reportiori.ge/

მაინც, რამდენჯერ უნდა ჩაისვარო, მიხეილ!

სააკაშვილი ელექტრონული სამაჯურით ივლის

როგორც ვიუწყებოდით, მიხეილ სააკაშვილი 2017 წლის 5 დეკემბერს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა. უკრაინის გენერალური პროკურატურა ამტკიცებს, რომ კიევში სააკაშვილის მიერ ორგანიზებული აქციები უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის გარემოცვის მიერ იყო დაფინანსებული. უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ასევე გამოაქვეყნა აუდიოჩანაწერები, რომელშიც, მათივე მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილი და მოსკოვში გაქცეული ბიზნესმენი სერგეი კურჩენკო ფიგურირებენ.

კიევის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ექსპრეზიდენტი შინაპატიმრობის საათებს კიევში, საკუთარ ბინაში, კოსტელნაიას ქუჩა №7-ში გაატარებს. **სააკაშვილზე შინაპატიმრობა 22:00 საათიდან 07:00 საათამდე პერიოდში გავრცელდება. ამასთან, სააკაშვილი ვალდებულია, ელექტრონული სამაჯური ატაროს.**

განაჩენით უკმაყოფილო სააკაშვილი აცხადებს, რომ ესენი მოსამართლეები კი არა, გაყიდული არსებები არიან. მისი თქმით, საქმე სრულიად ფალსიფიცირებულია.

საქართველოს ექსპრეზიდენტი აცხადებს, რომ უკრაინამ პოლონეთს მისი რეადმისიის შესაძლებლობის განხილვის თხოვნით მიმართა.

„ოფიციალურად ვაცხადებ! უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართა პოლონეთს ოფიციალური თხოვნით, განიხილონ ჩემი რეადმისიის შესაძლებლობა. მათ სურთ ქვეყნიდან გამაგდონ! გარდა ამისა, ჩემი ინფორმაციით, პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა ირინა გერაშჩენკომ ითხოვა, რომ ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკამ სევერიონ დანგაძე გაცვლის სიებში შეიყვანოს! მე — პოლონეთში, სევერიონი — „დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში“! აი, რა სურთ მათ!“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ცნობილი ბარიგა და ქურდი სხვას ლანძღავს!!!

„ჩვენ ვიწყებთ მასობრივ საპროტესტო აქციებს ქვეყნის მთავარი ქურდისა და „ბარიგის“ — პეტრო პოროშენკოს მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით გადაყენებისთვის. 4 თებერვალს, შევჩენკოს პარკიდან მაიდანამდე გაიმართება მარში“, — ამის შესახებ სააკაშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

„მეხუთე თვეა, რაც ჩვენ ოლიგარქს, კორუფციასა და დიქტატურას ვებრძვით და გვქონდა ძალიან მარტივი მოთხოვნები — იმპიჩმენტის შესახებ კანონის მიღება, ანტიკორუფციული სასამართლოს შექმნა, არჩევნების შესახებ ახალი კანონის მიღება და დეპუტატის ხელშეუხებლობის გაუქმება. ამის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური ტერორი და რეპრესიები, დაპატიმრებები, დევნა და შეთითხნილი სისხლის სამართლის საქმეები.

ამ „ბანდასთან“ არანაირი კომპრომისი არ გამოვა. ჩვენი რესურსები ოლიგარქატის რესურსებს ვერ შეედრება. საშუალო კლასი იმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთიანდება და საკუთარ რესურსებს კონკრეტული მიზნის მიღწევაზე მიმართავს. ჩვენ თქვენი დახმარება გვჭირდება!“ — წერს მიხეილ სააკაშვილი.

მან პარტიის საბანკო რეკვიზიტები გამოაქვეყნა და საკუთარ მომხრეებს ფულის შეგროვებისკენ მოუწოდა.

აზერბაიჯანული პრესა: საზღვართან დაკავშირებით ქართველები კომპრომისზე უნდა წავიდნენ, თბილისს შეუძლია, რაღაც დათმოს

„აზერბაიჯანი და რუსეთი მიმდინარე წლის თებერვალში, ბაქოში, მორიგ შეხვედრას გამართავენ სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის საკითხში. რაც შეეხება შეხვედრას აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის მიზნით, მორიგი მოლაპარაკება 2018 წლის პირველ კვარტალშია დაგეგმილი. განსხვავება იმაშია, რომ რუსეთთან უკვე დემარკაცია ხდება, საქართველოსთან კი ჯერ დელიმიტაციის პროცესი არ დასრულებულა და კიდევ უამრავი სადავო მომენტია გადასაწყვეტი...“ — ამის შესახებ აზერბაიჯანული გამოცემა „Эхо“ წერს.

„აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობის ამ ეტაპზე სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხი საკვანძოდ და საჭირბოროტოდ არ ითვლება. საქმე იმაშია, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის საკითხები იოლად გვარდება. ბაქო-თბილისის ურთიერთობის ფორმატი სტრატეგიულ ხასიათს ატარებს, ორივე ქვეყანა ჩაბმულია ერთობლივ პროექტებში და დარწმუნებული ვარ, რომ ამას საქართველოში კარგად ხედავენ და აცნობიერებენ“, — ამბობს გაზეთ „Эхо“-ს კორესპონდენტთან საუბარში ბაქოს უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი ფიკრეტ სადიხოვი, თუმცა იქვე შენიშნავს: ამ პრობლემის გადაწყვეტის დიდი ხნით გადადება არ შეიძლება

„ქართულმა მხარემ ამ სიტუაციაში, თუ მას აზერბაიჯანთან მჭიდრო ურთიერთობების გაგრძელება სურს (ქართველი ხალხის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით), საზღვრის დელიმიტაციის საკითხს უფრო ფართოდ უნდა შეხედოს“, — აღნიშნავს ფიკრეტ სადიხოვი ინტერვიუში, — **„ვთვლი, რომ დელიმიტაციის დროს რომელიმე უბანზე ჩაციკვლა არ შეიძლება, საქართველო აზერბაიჯანთან კომპრომისზე უნდა წავიდეს, თბილისს შეუძლია, რაღაც დათმოს. ჩვენს ქვეყნებს ხომ ერთმანეთთან ნაყოფიერი, მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებთ... შესაბამისად, არ უნდა დავუშვათ, რომ რომელიმე საკითხის მოუგვარებლობამ კონფლიქტამდე მიგვიყვანოს. განა უკეთესი არაა, ერთად გავუმკლავდეთ იმ საერთო საფრთხეებსა და მუქარებს, იმ რისკებს, რომლებიც რეგიონის წინაშე დგანან? სწორედ ამიტომ ჩვენ ერთმანეთს უნდა გავუგოთ, ერთად უნდა გადავლახოთ სირთულეები და მოვაგვაროთ პრობლემები“,** — ამბობს პოლიტოლოგი.

აზერბაიჯან-რუსეთის საზღვარი — ეს არის თანამედროვე სახელმწიფოთაშორისო სახმელეთო-საზღვაო მიჯნა რუსეთს (დაღესტანს) და აზერბაიჯანს შორის. მისი სიგრძე 327,6 კილომეტრია (მატერიკზე) და ზღვაში — 22,4 კილომეტრი. საზღვარი დადგინდა 2010 წლის 3 ოქტომბერს ბაქოში ხელმოწერილი შეთანხმებით, რომელიც ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გადაცემის დროს — 2011 წლის 18 ივლისს. ამით დასრულდა ორივე სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამყოფი საზღვრის დელიმიტაციიის (ანუ რუკაზე აღნიშვნის) პროცესიც. შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის (ანუ ადგილზე გატარების) მიზნით ჩამოყალიბდა ორმხრივი სადემარკაციო კომისია, რომელიც ამჟამად თავის მუშაობას აგრძელებს.

რაც შეეხება აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარს, მისი სიგრძე ან 446 კილომეტრია (ქართული მხარის მონაცემებით), ან 480 კილომეტრი (აზერბაიჯანული მხარის მიხედვით). ამ 446 თუ 480 კილომეტრიდან 180 კილომეტრი ჯერ კიდევ შეუთანხმებელია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხზე ორმხრივი ქართულ-აზერბაიჯანული კომისია 1996 წლიდან მუშაობს.

დღევანდელი მდგომარეობით, დელიმიტირებული და დემარკირებულია საერთო საზღვრის დაახლოებით 66%. კომისიის მუშაობის დროს, დაწყებული 2007 წლიდან, გაჩნდა გადაულახავი დაბრკოლება, რომელიც თბილისიდან 60 კილომტრზე მდებარე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს უკავშირდება. აზერბაიჯანი თვლის, რომ მონასტერი ალბანური კულტურის ძეგლს წარმოადგენს და მას „ქეშიშჩი-დაღს“ უწოდებს.

2012 წლის 6 მაისს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი დაიკავეს, რომელიც, საქართველოს იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ნინო კალანდაძის თქმით, სადავო ტერიტორიას არ მიეკუთვნება და რომელსაც საბჭოთა კავშირის პერიოდში აზერბაიჯანის სსრ აკონტროლებდა.

2012 წლის 6 მაისს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა (დავით გარეჯის კომპლექსის იმ ნაწილში, რომელსაც ისინი აკონტროლებენ) ქართველი მლოცველების, პოლიტიკოსებისა და სამღვდელოების დაშვება აკრძალეს. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ აზერბაიჯანს დავით გარეჯის კომპლექსის მხოლოდ 2% ეკუთვნის, ანუ უდაბნოს მონასტერი.

სადაო ტერიტორიად რჩება აგრეთვე სოფელი ერისიმედი. 1970-იანი წლების ბოლოს მდინარე ალაზანმა სიღნაღის რაიონში (ეს მდინარე საქართველოს და აზერბაიჯანს ყოფს) კალაპოტი შეიცვალა და ამის შედეგად ქართული ტერიტორიის რაღაც ნაწილი მდინარის იქითა ნაპირზე დარჩა. 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოს ხელისუფლებამ იმ ადგილებში სოფელი ერისიმედი ააშენა და იქ აჭარლები და ქისტები (ახმეტის რაიონის პანკისის ხეობიდან) ჩაასახლა. აზერბაიჯანული მხარე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ დავით გარეჯის კომპლექსის ნაწილი და სოფელი ერისიმედი აზერბაიჯანს ეკუთვნის.

ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის განცხადების თანახმად, საქართველოს ეკუთვნის ისტორიული ჰერეთიც, რომლის ნაწილი დღეს აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. საქმე ეხება ზაქათალის, კახის (გახის) და ბელაქანის რაიონებს, რომლებსაც თბილისი ისტორიულ საინგილოს უწოდებს, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას ქართველ ინგილოებად მიიჩნევს, რომლებიც ძალდატანებით გამაჰმადიანდნენ.

როგორც კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის მოხსენებაშია აღნიშნული, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ალაზნის ხაზთან 66 ისეთი ადგილია, სადაც ცვლილებები მოხდა. მათგან 42 შემთხვევაში საზღვარი საქართველოს სიღრმეშია გადაწეული, ხოლო 27 შემთხვევაში — აზერბაიჯანის სიღრმეში.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებში დამატებით გამღიზიანებელ ფაქტორს წარმოადგენს ქვემო ქართლის, ანუ ბორჩალოს რეგიონი, რომელიც აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. საქართველოს ხელისუფლება ადგილობრივ აზერბაიჯანულ დასახლებულ პუნქტებს სახელებს ქართული მანერით უცვლის, სასკოლო განათლებას ქართულ ენაზე ახორციელებს, არის მიწისა და საკადრო პრობლემებიც. ეს ყველაფერი ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს.

საქართველოს მთავრობამ პოსტსაბჭოთა პერიოდში ქვემო ქართლში ქართველები (სვანები) ჩაასახლა, სვანეთში მომხდარი სტიქიური უბედურების მოტივით, რაც ზოგჯერ აზერბაიჯანელებისა და ქართველების ერთმანეთთან კონფლიქტს იწვევს.

საქართველოში აზერბაიჯანელთა ეთნიკურ აქტიურობას, რომელსაც უმეტესად პროტესტული ხასიათი აქვს, აზერბაიჯანის მოქალაქეები ფართო პატრიოტული გამოძახილით პასუხობენ.

ცხოვრობს კი ამდენი ადამიანი აფხაზეთში?

2018 წლის 23 იანვრის მონაცემებით, ოკუპირებულ აფხაზეთში „აფხაზეთის მოქალაქის“ 49 763 ახალი პასპორტია გაცემული, წარმოებაშია 2 628 განაცხადი პასპორტების შესაცვლელად, სულ კი დე ფაქტო ხელისუფლება 140 000 პასპორტის შეცვლას გაგმავს. ამის შესახებ „Абхазия-Информ“-ს დე ფაქტო შსს-ს საპასპორტო სამმართველოს ხელმძღვანელმა ედუარდ მეუნარგიამ განუცხადა.

რაც შეეხება ე.წ. ბინადრობის მოწმობებს, მისი თქმით, ჯერჯერობით ეს საბუთი მხოლოდ გალის რაიონის მაცხოვრებლებზე გაიცემა, თუმცა სამომავლოდ დაგეგმილია ამ პროცესის დაწყება სხვა რაიონებშიც.

მეუნარგიას თქმით, სადღეისოდ გალის რაიონში ბინადრობის 1 573 მოწმობაა გაცემული, წარმოებაშია 4 447 განაცხადი. გარდა ამისა, განხორციელდა პასპორტების შეცვლა რაიონში მცხოვრები 107 მოქალაქისათვის.

„მიუხედავად იმისა, რომ გალის რაიონის მცხოვრებთათვის ადრე გაცემული პასპორტების უმეტესი ნაწილი 2013 წელს აფხაზეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით არალეგალურად გამოცხადდა, ამ დროისთვის ხელზე რჩება დაახლოებით 17 ათასი პასპორტი“.

„აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ დე ფაქტო კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „რესპუბლიკის მოქალაქეებად“ ითვლებიან:

ა) აფხაზი (აბაზა) ეროვნების პირები, განურჩევლად მათი საცხოვრებელი ადგილისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეობის ქონისა, გარდა პირებისა, რომლებიც „ანტიკონსტიტუციური მეთოდებით გამოდიან აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენული სტატუსის შესაცვლელად, ან აფხაზეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო წყობის ძალისმიერი გზით შესაცვლელად, ან ანტიკონსტიტუციური მეთოდებით იბრძოდნენ არსებული სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ, ან დაკავშირებულები არიან ტერორისტულ საქმიანობასთან“;

ბ) პირები, რომლებიც „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ“ 1999 წლის 12 ოქტომბრის ე.წ. აქტის მიღების მომენტისთვის მუდმივად ცხოვრობდნენ „აფხაზეთის რესპუბლიკაში“ არანაკლებ 5 წლისა და წერილობითი უარი არ განუცხადებიათ „აფხაზეთის მოქალაქეობაზე“, გარდა იმ პირებისა, რომლებიც „ანტიკონსტიტუციური მეთოდებით გამოდიან აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენული სტატუსის შესაცვლელად, ან აფხაზეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო წყობის ძალისმიერი გზით შესაცვლელად, ან ანტიკონსტიტუციური მეთოდებით იბრძოდნენ არსებული სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ, ან დაკავშირებულები არიან ტერორისტულ საქმიანობასთან“;

გ) პირები, რომლებმაც „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა“ მოქმედი კანონის შესაბამისად მიიღეს.

რუსეთი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში სამხედრო წვრთნას ატარებს

რუსეთმა სამხრეთ ოლქში მასშტაბური სამხედრო წვრთნა დაიწყო, — ამის შესახებ „სპუტნიკ-ოსეტია“ იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, სწავლებაში ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზის მოსამსახურეებიც ჩაერთვებიან. მანევრებში სულ 4 ათასი ერთეული შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა იქნება ჩართული. სწავლება ერთ კვირას გასტანს.

სასიცოცხლო გზებს „შავ სიაში“ შეყვანილი კომპანიები გვიშენებენ

გზების მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერებში კვლავ საეჭვო კომპანიები იმარჯვებენ. ამ მხრივ ვითარება არც ბოლო წლებში გამოსწორებულა. ამჯერად საქმე ეხება ჩინურ კომპანიას, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით ცუდი რეპუტაციით სარგებლობს.

კომპანია „სინოჰიდრომ“ საქართველოში გზების მშენებლობაზე გამოცხადებულ რამდენიმე მსხვილ ტენდერში გაიმარჯვა. კონტრაქტორმა საქართველოში ავტომაგისტრალის რამდენიმე მონაკვეთი უკვე ააშენა და ამჟამად სამტრედია-გრიგოლეთის შემოვლითი გზის სამუშაოებს ასრულებს. სამტრედია-გრიგოლეთის შემოვლითი გზის მეორე ლოტის ღირებულება, რომელსაც ამჟამად ჩინელები აშენებენ, 250 მილიონ ლარზე მეტია.

აზიური კომპანიის იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან შელახულია. რამდენიმე თვის წინათ აფრიკის განვითარების ბანკმა „სინოჰიდრო“ თაღლითურ გარიგებებში ამხილა. კომპანიამ ზიმბაბვეში 533 მილიონი დოლარის ღირებულების ტენდერი მოიგო, რომელიც ელექტროსადგურის მშენებლობისთვის იყო გამოყოფილი. პროექტის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ ტენდერის ფასი რეალურ ხარჯებს 2-ჯერ აღემატებოდა.

2017 წლის ივლისში აფრიკის განვითარების ბანკმა „სინოჰიდროსთან“ ურთიერთობა საბოლოოდ დაასრულა. გამოძიებამ, რომელიც საბანკო ექსპერტების ჯგუფმა ჩაატარა, დაადგინა, რომ ჩინური კომპანია თაღლითური სქემებით დიდ თანხებს არაკანონიერად ეუფლებოდა. **დაფინანსებული პროექტების ფინანსების შესწავლის შემდეგ, ჩინური კომპანიის წარმომადგენლები დაქირავებულ ქვეკონტრაქტორებთან და მუშებთან კორუფციულ გარიგებებში ამხილეს.**

2013 წელს „სინოჰიდრომ“, აფრიკის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული უგანდის საგზაო ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის პროექტი მოიგო. იმ შემთხვევაშიც, კომპანიამ ჯეროვნად არ შეასრულა კონტრაქტის პირობები და ანტიკორუფციულმა ოფისმა არაკანონიერი კონტრაქტების გაფორმებაში და კორუფციულ გარიგებებში დაადანაშაულა.

„სინოჰიდროს“ განხორციელებული პროექტები ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე ნეგატიური გავლენის გამო მუდმივად კრიტიკის საგანია. მსგავსი პროექტების რიცხვშია ბოტსვანას აეროპორტის გაფართოების სამშენებლო სამუშაოები, რომელიც ჩინურმა კომპანიამ შეასრულა. პროექტის შემკვეთმა „სინოჰიდროს“ კონტრაქტი გაუწყვიტა, თუმცა ამ დროისთვის ჩინურ კომპანიას თანხის 90%, 527 მილიონ დოლარზე მეტი უკვე მიღებული ჰქონდა.

ასეთი სკანდალების შემდეგ როგორ გაგრძელდება საქართველოში „სინოჰიდროს“ მიერ დაწყებული პროექტები? საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, რომ კომენტარს ერთ კვირაში, ანუ მას შემდეგ გააკეთებენ, რაც დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე ქვეყანაში დაბრუნდება. შეფასებისგან თავს იკავებენ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციაშიც“.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრისა და პარლამენტის დეპუტატის რამაზ ნიკოლაიშვილის განცხადებით კი კომპანია „სინოჰიდრო“ მსოფლიო ბანკის პროექტებს ახორციელებს. ამიტომ ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ სკანდალური ინფორმაციები ჩინურ კომპანიას გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის. აქედან გამომდინარე, შემდგომ პროექტებში მისი მონაწილეობა თითქმის შეუძლებელი იქნება.

როგორც ნიკოლაიშვილმა „კომერსანტს“ განუცხადა, კონკრეტული ფაქტები **„სინოჰიდროს“ ფინანსურ მდგომარეობაზე გარკვეულ გავლენას მოახდენს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ მის მიერ დაწყებული პროექტების განხორციელებას გარკვეული პრობლემა შეექმნას. „ყველა დონორი გაითვალისწინებს „შავ სიაში“ ჩასმის ფაქტს. როდესაც ამხელა კომპანიას ხელი შეეშლება სხვა ტენდერებში მონაწილეობაში, მისი შემოსავლები შემცირდება და პრობლემები ექნება. ეს საკმაოდ ცუდია კომპანიისთვისაც და ჩვენთვისაც, რადგან ჩვენი კონტრაქტორია“,** — აცხადებს ნიკოლაიშვილი.

აღსანიშნავია, რომ „სინოჰიდროს“ პრობლემები აქვს სომხეთშიც, სადაც ის ქვეყნის ჩრდილოდასავლეთის მაგისტრალის მონაკვეთს აშენებს. მეზობელ ქვეყანაში გზის ხარისხის მაკონტროლებელი ორგანიზაცია ითხოვს ბეტონის საფარის დაგებამდე, მაგისტრალის ყველა მონაკვეთზე გასწორდეს დაშვებული შეცდომები და მიწის საფარი სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგდეს. სომხეთის ინფრასტრუქტურის და გზების მინისტრმა არაერთხელ გააფრთხილა „სინოჰიდრო“, რომ ხარისხის გამოსწორებამდე კომპანიას სამუშაოს სხვა ეტაპზე გადასვლის საშუალებას არ მისცემენ.

გეჟა დანელია

ევროპის ბაზარს სულ უფრო ვშორდებით!

ქართული **თხილი და კაკალი საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციებს კარგავს. გარდა ამისა, მოსავალი საგრძნობლად შემცირდა, ხარისხიც დაეცა და ფასიც, შესაბამისად, ბოლო წლების მინიმუმზე ჩამოვიდა.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, შარშან მთლიანმა ექსპორტმა 2,728 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. აქედან თხილისა და სხვა კაკლის ექსპორტი 2017 წელს 83,081 მილიონი დოლარი, ანუ მთლიანი ექსპორტის 3% იყო.

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის ექსპორტი 2016 წლის მონაცემებთან შედარებით, 96,428 მილიონი აშშ დოლარით არის შემცირებული. კერძოდ, „საქსტატის“ მონაცემებით, ეს მაჩვენებელი შარშანწინ 179,510 მილიონი დოლარი და მთელი ექსპორტის 8.5% იყო.

ზოგადად, თხილის დარგისთვის 2017 წელი საკმაოდ მძიმე წელი იყო, რადგან საგრძნობლად შემცირდა მოსავალი. ის, რაც გადარჩა, სამწუხაროდ, მაღალი ხარისხის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. 2017 წელი მეთხილეობისთვის იმდანად რთული იყო, რომ ზოგიერთმა ფერმერმა პლანტაციების გაჩეხვა გადაწყვიტა.

„მნიშვნელოვანი ნიშა, რაც ევროპის ბაზარზე ქართულმა თხილმა მოიპოვა, სამწუხაროდ, გარკვეულწილად, დავთმეთ. გარკვეული დრო დაგვჭირდება, რათა ძველ პოზიციებზე დავბრუნდეთ. ადრე არა თუ პოზიციების განმტკიცებაზე, არამედ მის გაფართოებაზე ვსაუბრობდით, ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ძველი პოზიციების დაბრუნებას დრო დასჭირდება.

შარშან პრობლემა მხოლოდ აზიური ფაროსანა არ ყოფილა, კომპლექსური პრობლემები გვქონდა. ვგულისხმობ თხილის ბაქტერიოზს, სოკოვან დაავადებებს, ზოგადად, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს, იმას, რომ თხილის პლანტაციების უმრავლესობა მოუვლელია, ფერმერები და ნედლეულის სხვა მწარმოებლები აგროწესებს არ იცავენ. ერთი სიტყვით, უამრავმა პრობლემამ მოიყარა თავი და ასეთი მძიმე შედეგი მივიღეთ.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ბევრი კუთხეა, სადაც წელს „აზიური ფაროსანა“ არ გამოჩენილა, მაგრამ თხილი მაინც გაფუჭდა. ამ ადგილებში მოსავალი თხილის ბაქტერიოზმა და სხვადასხვა სოკოვანმა დაავადებებმა დააზიანა“, — განაცხადა საქართველოს თხილის გადამმუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ ალექსანდრე მოწერელიამ.

ქართული თხილის პოზიციები ევროპის ბაზარზე მნიშვნერლოვნად შეირყა, ხოლო საქართველოში პროდუქტის ფასი მინიმუმამდე დავიდა. ამ ფონზე, თავად ევროპელი ჩინოვნიკები უფრო იმედიანად არიან განწყობილი, ვიდრე ქართველი მეწარმეები.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარის საჯად კარიმის განცხადებით, საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მკაფიოდ გამოხატული ლიდერია. ქვეყანაში გატარდა მასშტაბური რეფორმები მრავალი მიმართულებით. როგორც კარიმმა აღნიშნა, ევროკავშირი საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორად რჩება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების წყალობით, ქართული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე მკვიდრდება.

წელს მავნებლებთან ბრძოლის მიმართულებით მთავრობა მასშტაბური ღონისძიებების გატარებას გეგმავს. ამ მიზნით 50 მილიონი ლარია გამოყოფილი. დაიბრუნებს თუ არა ძველ პოზიციებს ქართული თხილი და კაკალი, ეს შემოდგომით გამოჩნდება.

დანიელ გეჭიშვილი

საქართველოდან ხორცის ექსპორტი 7-ჯერ გაიზარდა

საქართველოდან **დაკლულ ცხოველთა ხორცის ექსპორტი 7-ჯერ გაიზარდა. „სურსათის ეროვნული სააგენტო“ 2017 წელს განხორციელებული ვეტერინარული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.**

„სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სააგენტო სხვადასხვა ინფექციური დაავადების საწინააღმდეგოდ ცხოველების უფასო ვაქცინაციას ახორციელებს.

„2017 წელს ვაქცინირებულია: თურქულზე — 2 693 938 წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვი; ჯილეხზე —1 075 832 მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი და კენტჩლიქოსანი ცხოველი; ცოფზე — 298 734 შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი და კატა); ცხვრისა და თხის ყვავილზე — 814 246 წვრილფეხა პირუტყვი; წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე — 323 742 წვრილფეხა პირუტყვი; ნოდულარულ დერმატიტზე — 286 219 მსხვილფეხა პირუტყვი; ბრუცელოზზე — 234 158 მსხვილფეხა პირუტყვი; ყირიმ — კონგოს ჰემორაგიული ცხელების საწინააღმდეგოდ დამუშავებულია 7 381 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 1 414 ცხოველის სადგომი.

პარალელურად მიმდინარეობს ბრუცელოზის, თურქულის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის და ცოფის სერომონიტორინგი (სისხლის ნიმუშების კვლევა)“, — აცხადებენ სააგენტოში.

მათივე ინფორმაციით, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და ქვეყნის კეთილსაიმედოობისთვის ხორციელდება შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტები. **2017 წელს კახეთის რეგიონში სიღნაღის, დედოფლისწყაროს და თელავის მუნიციპალიტეტებში ცხოველთა გადასარეკტრასაზე აშენდა და ამოქმედდა 3 ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტი (ბიოუსაფრთხოების პუნქტი). მათი ჩათვლით, ქვეყნის მასშტაბით სულ ფუნქციონირებს 5 პუნქტი (2 ქვემო ქართლის რეგიონში, რუსთავის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში), სადაც ხორციელდება ვეტერინარული ზედამხედველობა ცხოველების გადარეკვაზე და პარაზიტების საწინააღმდეგოდ მათი უფასო დამუშავება. 2017 წელს დამუშავდა 6 844 მსხვილფეხა და 368 755 წვრილფეხა პირუტყვი.**

სააგენტოს ინფორმაციით, **2017 წელს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამის ფარგლებში იდენტიფიცირებულია: 311 758 სული მსხვილფეხა და 95 957 წვრილფეხა პირუტყვი. მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულია: 432 305 მსხვილფეხა, 109 333 წვრილფეხა პირუტყვი და 62 845 სადგომი.**

ცხოველთა პასპორტიზაციის პროგრამის ფარგლებში, **236 348 ბრუცელოზზე აცრილ მსხვილფეხა საქონელზე გაიცა შესაბამისი პასპორტი.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გატარებული ვეტერინარული ღონისძიებების შედეგად 2017 წელს ექსპორტირებულია 361 711 დაკლული ცხვრის ხორცი, რაც წინა წლის მაჩვენებელს (50 709) 7-ჯერ აღემატება.

„2017 წელსაც სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა მნიშვნელოვანი ვეტერინარული ღონისძიებები, მათ შორის პროფილაქტიკური ვაქცინაცია სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგოდ, ასევე ნიმუშების აღება და მათი ლაბორატორიული კვლევა. შედეგად ქვეყანაში შენარჩუნდა სტაბილური ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა, კერძოდ, მნიშვნელოვნად არის შემცირებული სხვადასხვა ზოონზური დაავადებების გამოვლინების მაჩვენებელი ცხოველებში და, შესაბამისად, ადამიანებშიც. სააგენტოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ქართულ პროდუქციაზე, კერძოდ, 2-ჯერ არის გაზრდილი ცხვრის ექსპორტი. მათ შორის, მნიშვნელოვნად მოიმატა დაკლული ხორცის ექსპორტმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილზე შეიქმნა დამატებითი ღირებულება და მეტი შემოსავალი მიიღო ქვეყანამ“, — განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსმა **ლაშა ავალიანმა.**

...ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ სამყაროსთან კამათელს არ აგორებს.

* * *

ᲓᲐᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ წყალობით ღმერთი ანონიმურობას ინარჩუნებს.

* * *

ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲘᲡ პერსონიფიცირების იდეა არცროდის ყოფილა ჩემთვის ახლოს და მიამიტური მეჩვენება.

* * *

ᲛᲔ მინდა ვიცოდე ღმერთის აზრები... სხვა დანარჩენი — წვრილმანია.

* * *

ᲛᲔ არცროდის არა ვცდილობ უღმერთო პიროვნებად წარმოდგენას, ჩემთვის საკმარისია ქვეყნიერების ორიგინალური სტრუქტურა, იმდენად, რამდენადაც ამ სტრუქტურის აღქმა შეუძლიათ ჩვენს სულაც არა სრულყოფილ გრძნობათა ორგანოებს.

* * *

ᲛᲔ ღრმად რელიგიური უღმერთო ვარ. შეიძლება იმის თქმა, რომ ეს თავისებურად ახალი რელიგიაა.

* * *

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ მახვილგონიერია, მაგრამ არცრა მექანიზმს არ მიმართავს.

* * *

ᲛᲘᲐᲛᲘᲢᲘ ადამიანისთვის ღმერთი ის არსებაა, რომლისგანაც იმედიანად ელის კეთილდღეობას, ხოლო შიშით — დასჯას, რისაც აგრერიგად ეშინია. ეს გრძნობათა სუბლიმაციაა, იმის მსგავსი, რასაც ბავშვი განიცდის მამის მიმართ.

* * *

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ყველაფრის აზრზეა, ერთ ძველ სიტყვას თუ მოვიშველიებთ, ლუპუსტაკია, მაგრამ არამზადა არ არის.

* * *

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ მინდა იმის გაგება, როგორ ქმნიდა ღმერთი ქვეყნიერებას. არადა, აქ სულაც არ მაგულისყურებს ესა თუ ეს ფენომენები და ამა თუ იმ ელემენტის სპექტრები. ერთი სული მაქვს, როგორმე შევაღწიო იმის აზრებში, ყველაფერი დანარჩენი — დეტალებია.

* * *

ᲣᲙᲔᲗᲣ მამაღმერთს ხელს აძლევდა მხოლოდ ათვლის ინერციალური სისტემები, მაშინ გრავიტაციის შექმნას არ დაიწყებდა.

* * *

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ყოველივე არსებულის ჰარმონიაში იჩენს თავს.

* * *

ᲩᲔᲛᲘ რელიგიურობა სრულად მოიცავს იმ აღტაცებას, რასაც განვიცდი უსაზღვროდ დიდებული სულის მიმართ, რომელი სულიც თვალსაჩინოვდება იმ ცოტაოდენში, გარემომცველ სინამდვილეში რომ შევიმეცნებთ. ზნეობრიობას, არსებითად, წონადი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მაგრამ სულაც არა ღმერთისთვის.

* * *

ᲜᲔᲢᲐᲕᲘ, ღმერთს თუ ჰქონდა არჩევანი, ოდეს სამყაროს ქმნიდა?!

* * *

ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ წარმოადგენს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან მისწრაფებას, რომ ნათლად და მკაფიოდ შეიცნოს ფასეულობანი და მიზნები, აგრეთვე მუდმივად აძლიერებდეს და ავრცელებდეს როგორც ფასეულობათა, ისე მიზანთა ზეგავლენას.

* * *

ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲝᲑᲐ ჩვენი გონებისთვის ყოვლად მიუწვდომლის აღქმის უნარია, იმის აღქმის უნარი, თუ რა იმალება უტყუარ განცდებში, რომელთა სილამაზე და სრულყოფილება ჩვენამდე აღწევს მხოლოდ არეკლილი სუსტი გამოძახილის სახით. ამ აზრით მე რელიგიური ადამიანი ვარ.

* * *

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ აირისებრი ხერხემლიანია.

* * *

ᲓᲦᲔᲡ, როცა რელიგიისა და მეცნიერების სფეროები მკაფიოდ გაიყო, იმათ შორის მაინც რჩება ძლიერი ნათესაობა და დამოკიდებულება. უკეთუ რელიგიის პრეროგატივას მიზნის განსაზღვრა წარმოადგენს, მაშინ ამ მიზნის მისაღწევი საშუალებები რელიგიამ უთუოდ მეცნიერებისგან ისწავლა, ხოლო მეცნიერება, თავის მხრივ, იმ მეცნიერთა მიერ იქმნება, ჭეშმარიტების შეცნობის მისწრაფებით რომ არიან შთაგონებულნი.

* * *

ᲣᲙᲔᲗᲣ თანამედროვე რელიგიათა მიმდევარნი, უკლებლივ სუყველანი, იფიქრებდნენ და იმოქმედებდნენ ამ რელიგიათა დამაარსებელ-დამფუძნებელთა სულისკვეთებით, მაშინ აღარ იქნებოდა მტრობა და შუღლი რელიგიურ ნიადაგზე, რადგან სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართათვის გაადვილდება იმის ჩვენება, რომ თვითონ რელიგიათა განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.



ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲚᲑᲔᲠᲢᲘ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲐᲔᲜᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

...ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲦᲔᲡ ზუსტად შეიძლება თქმა, რომ განათლება ის ერთადერთი რამ არის, რაც იმის შემდეგ რჩება, ადამიანი სკოლაში ნასწავლ ყველაფერს რომ ივიწყებს.

* * *

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ სკოლაში სწავლება იმ პრინციპით უნდა ხდებოდეს, რომ სასწავლო დაწესებულების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ჰარმონიული პიროვნება დადგეს და არა უბრალოდ სპეციალისტი.



* * *

ᲩᲕᲔᲜᲡ სკოლას არ შეუძლია გაკვირვების უნარის გაღვივება. ის კი არა, პირიქით ხდება, — სკოლა მექანიკური დაზეპირების თავისი ჩვეული ილეთებით პირდაპირ ახშობს გაკვირვების უნარს. აი, რატომ არის აგრერიგად მოსაწყენი სასკოლო მათემატიკისა და ფიზიკის გაკვეთილები. ის კი უეჭველია, რომ ამ გაკეთილებს ჯერ არ ამოუძირკვავთ ადამიანებში ბუნების კვლევის მისწრაფება! ხან ისიც ხდება, რომ ფრიად მნიშვნელოვან სამეცნიერო იდეებს ის ადამიანები გამოთქვამენ, რომელთაც სისტემატური სწავლება არ გაუვლიათ.

* * *

ᲮᲐᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ სკოლა მოზარდი თაობისთვის ცოდნის განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობის გადამცემ ინსტრუმენტად წარმოუდგენიათ. მაგრამ ასე სულაც არ არის, ცოდნა მკვდარია, სკოლა არ ემსახურება ცოცხალთ.

* * *

ᲩᲔᲛᲘ აზრით, ადამიანისთვის პირველ ადგილზე უნდა იდგეს დამოუკიდებელი აზროვნებისა და განსჯის უნარის განვითარება და არა ცალკეული სპეციფიკური ცოდნის შეძენა. უკეთუ ადამიანმა ისწავლა საგნის საფუძვლების ფლობა და თანაც დამოუკიდებლად აზროვნებს, მაშინ ის აუცილებლად იპოვის თავის გზას ცხოვრებაში, უფრო მეტიც, გაცილებით ადვილად შეძლებს პროგრესთან და ცვლილებებთან შეგუებას, ვიდრე სხვა, ვინც ცალკეული დეტალური ცოდნის შეძენას ესწრაფვის.

* * *

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ უმრავლესობა იმ საკითხებზე ხარჯავს დროს, რომელი საკითხების დანიშნულებაა იმის დადგენა, თუ რა არ იცის მოწაფემ სწავლების დასრულებული ციკლიდან, საკითხის დაყენების უტყუარი ხელოვნება კი ის არის, რომ გავიგოთ, რა იცის მოწაფემ ანდა აქვს თუ არა დამოუკიდებლად შეცნობის უნარი.

* * *

ᲙᲐᲜᲢᲝᲜᲐᲚᲣᲠᲛᲐ სკოლამ შვეიცარიულ დაბა აარაუში წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თავისი ლიბერალური სულისკვეთებითა და მოკრძალებულობით, პედაგოგთა სერიოზულობით, რომელ პედაგოგთაც მუშაობაში ეშველებოდა ჭეშმარიტი და არა ნაძალადევი ავტორიტეტი. ამ სკოლასთან შედარებამ ჩემს ექვსწლიან ყოფნასთან გერმანულ გიმნაზიაში, სადაც გამეფებული იყო ავტორიტარული რეჟიმი, ზედმიწევნით დამანახვა, თუ რამდენად უფრო სრულყოფილია ცოდნა, როცა დაფუძნებულია მოქმედებისა და საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის თავისუფლებაზე, ვიდრე მექანიკურ დისციპლინაზე და შეუგნებლად დაზეპირებაზე დამყარებული ცოდნა.

. . .ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ეძიებს მტკიცებულებებს, სულაც არა დამოკიდებულთ მკვლევარის პიროვნებაზე. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კვლევის საგანი თვითონ ადამიანია... ხოლო კონცეფციები, რომელთაც მეცნიერება შეთანხმებული სისტემის შესაქმნელად იყენებს, სავსებით გამორიცხავენ ყოველგვარ ემოციებს. ნამდვილი მეცნიერისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ „ყოფიერება“, „არსებობა“ და არა ყოველნაირი ყოველდღიური „სურვილები“, კეთილისა და ბოროტის, მიზნის „შეფასებები“, ვინაიდან იმ მეცნიერებს თავი შორს უჭირავთ ყოველგვარი ემოციურობისგან. უნდა ითქვას, რომ ეს თვისება უკიდურესად ნელი განვითარების, და კერძოდ, დასავლური აზრის შედეგია.

* * *

ᲣᲙᲔᲗᲣ შეძლებთ, რომ მსოფლიოს სასიკეთოდ წარემატოთ ბირთვული ფიზიკის აღმოჩენათა გამოყენებაში, ეს ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება ახალ ამქვეყნიურ სამოთხეში.

* * *

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ლოგიკისთვის არ არის არცრა უდავო აქსიომა, თუნდაც ეთიკური, მაგრამ ფსიქოლოგიისა და გენეტიკის თვალსაზრისით, ისინი, აქსიომები, მაინც ცოცხლობენ და ჩნდებიან ან ჩვენი შინაგანი ტენდენციებით, რათა გამოირიცხოს ტკივილი და გაუჩინარება, ანდა ჩვენი ახლობლების ქცევაზე ჩვენი ემოციური რეაქციებით.

* * *

ᲩᲔᲛᲘ აზრით, მეცნიერება თავისთავად წარმოადგენს დედამიწის ზურგზე არსებული სუყველა მოვლენის კიდევ უფრო ღრმა და სრულ საზოგადოებად გაერთიანების მიზნით სისტემური აზროვნების მრავალსაუკუნოვან მისწრაფებას.

* * *

ᲤᲘᲖᲘᲙᲐ ადგენს აზროვნების ლოგიკურად განვითარებად სისტემას, რომლის საფუძველიც ვერ იქნება საკუთარი გამოცდილებისგან გაწმენდილი. ფიზიკას აყალიბებს თავისუფალი გამომგონებლობა, თვითონ სისტემის ჭეშმარიტების მტკიცება მიმალულია სენსორული ცდით დადასტურებაში.

* * *

ᲕᲤᲘᲫᲠᲝᲑ, ყოველი ფიზიკოსის უმაღლესი ვალია იმ განმაზოგადებელი ელემენტარული კანონების ძიება, რომელთაგან წმინდა წყლის დედუქციის გზით ქვეყნიერების საერთო სურათის მიღებაა შესაძლებელი. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კანონებთან სულაც არა ლოგიკურ გზას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ცდის არსში შეღწევაზე დაფუძნებულ ინტუიციას მივყავართ.

* * *

ᲙᲕᲐᲜᲢᲣᲠᲘ მექანიკა მართლაც შთამბეჭდავი რამ არის, მაგრამ ჩემი შინაგანი ხმა მიკარნახებს, რომ ეს ჯერ კიდევ სულაც არ არის იდეალი. ეს თეორია მრავალ რამეზე მეტყველებს, თუმცა მაინც არ აახლოებს მეცნიერთ საიდუმლოთა გამოცნობასთან.

* * *

ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ პრობლემათა გადაწყვეტა, არსებითად, ბავშვური თამაშია ბავშვურივე თამაშის სამეცნიერო-ფსიქოლოგიურ კვლევებთან შედარებით.

* * *

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ფილოსოფია ადამიანის ქცევის ფილოსოფიას ნიშნავს. მე სულაც არ მეჩვენება, რომ მეცნიერებას შეუძლია ადამიანებისათვის ზნეობის სწავლება, ისევე, როგორც არა მჯერა, რომ ზნეობის ფილოსოფიის აგება საერთოდ შეიძლება მეცნიერულ საფუძველზე.

* * *

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲗᲐ ერთ-ერთი ყოვლის უფრო მავნე მოქმედებაა ბუნებისმეტყველების ცნებათა გადატანა კონტროლისათვის ხელმისაწვდომი დარგიდან აპრიორულის ხელმიუწვდომელ სიმაღლეზე.

* * *

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ გამოცდილება გვიჩვენებს, პრაქტიკული ფილოსოფია თავის და ხსნაა ჩემისთანა ადამიანთათვის. აკადემიური სარბიელი კი იძულებულს ხდის ახალგაზრდა სპეციალისტს, რომ განუწყვეტლივ იძლეოდეს მეცნიერულ პროდუქციას და მხოლოდ ბუნებით ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ ამასთანავე ზედაპირული ანალიზის ცდუნებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №14-17

ძართულ მიწაზე ამოზრდილმა „მზეჭაბუკებმა“ წარსული ბარბაროსული დაუნდობლობით ამოგვიშანთეს და გამოქვაბულის ბინადრებად გამოგვაცხადეს. დღევანდელ საქართველოშიც ასპარეზი უპყრიათ გაურკვეველი წარმომავლობისა და მონაცემების პერსონებს (განსხვავებული გვარ-სახელები არაფერს არ ცვლის). ქვეყნისთვის აუცილებელი „ფარისა და მახვილის“ როლი შეუძლებელია იმ პირებმა შეასრულონ, რომელთაც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრის უნარი შესწევთ. დღესაც ზეიმი აქვთ გამართული ვერცხლის მოყვარულ მედროვეებს. დღევანდელ ქართველ „მამულიშვილთა“ უმრავლესობას სამშობლო ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას ახსენდება მხოლოდ. ფსევდოპატრიოტული სიტყვების უხვად ფრქვევა, გაძარცვული სულიერების კრიზისის უტყუარი დადასტურება რომ არის, ამას მცირენი თუ ამჩნევენ. ცოტა ხნის წინათ, ეშმაკის მოციქულებმა ადამიანის ბედის მწერელის როლი იკისრეს და ერის ჭეშმარიტ სიწმინდეებს ბარბაროსული დაუნდობლობით გაუსწორდნენ. ნანგრევებში მოექცა ყველაზე სათუთი და წლების განმავლობაში შექმნილი წმინდა ტაძრის ღვთაებრივი სიმაღლე, იგი ქუჩის მოლაყბეთა გასარჩევ-შესაფასებელი გახდა. ქართული სულიერებისა და განათლების მანათობელი ვარსკვლავი ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ჯოჯოხეთის მაშხალების ლომაიას და ხუბუას ბლაგვი ნაჯახით გამოასალმეს წუთისოფელს. გადის წლები, ჩვენი სამშობლო რჩება ნაციონალების აგიზგიზებული რეფორმების უმისამართო ტალღაზე. მათი წყალობაა, რომ გზაარეული ერის შთაბეჭდილებას ვტოვებთ, ვისაც არ ეზარება, ყველა ჭკუას გვასწავლის, გაგვიუფასურეს, რაც გაგვაჩნდა. დავიწყებისთვის გავიმეტეთ ყველაზე ძვირფასი. სანაცვლოდ ვერაფერი მოგვიფიქრებია. ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ მალე დადგება დიდი გამონათების ჟამი და გავალთ სწორ გზაზე. 25 წელია, იმედით ვფურცლავთ ულმობელ წუთისოფელს. ჟამიანობის დასასრული კი არ ჩანს.

ქვაზე ამოკვეთილი კანონები

სკოლა. ძველბერძნული ბარელიეფი. ახ. წ. III ს.

უმწიფარი ახალგაზრდების თავებში დაბადებული უაზრობა, მოგვყვება როგორც წყევლა და არავინ ცდილობს, დემაგოგიურ (იგივე პოპულისტურ) „პატრიოტიზმს“ ნათელი განმარტება მოუძებნოს. უამრავი ჭკვიანი პიროვნება თავს არიდებს ხელისუფლებასთან პირადი ურთიერთობის გართულებას და საკუთარი ნიჟარიდან მშვიდად უყურებს გაურკვეველი მიმართულებით მიმავალ სამშობლოს. მუციუს სცევოლასა და ცოტნე დადიანის გმირობა ერთეულებს თუ შეუძლიათ, მაგრამ ცოცხალ ადამიანსაც ოდნავ მეტი მოძრაობა რომ მოეთხოვება, ამაზე არ ფიქრობენ.

განათლების მსახურთა დიდმა ნაწილმა უღირსი ქედმოხრით შეძლო არსობის პურის შენარჩუნება, ეროვნულ ინტერესთა დამცველებს მაყურებლის სახით უცხადებდნენ თანადგომას. გასაოცარი იყო მათი კითხვა, „რატომ იბრძვი, შენ ხომ არაფერი გემუქრება“. ვიდრე მსგავსი აზრი იარსებებს ჩვენს საზოგადოებაში, „ბედნიერი ერის“ შვილები, შვილებად კი არა, გერებად დავრჩებით. საკმაოდ დამსახურებული ადამიანები ისე უყურებდნენ ნგრევის პროცესს, თითქოს შორეული ნაცნობის პანაშვიდზე იმყოფებოდნენ. მოხდა ხელისუფლების შეცვლა, ნაციონალების დრაკონული კანონები კი (განათლებისა და მეცნიერების სფეროში) ხელუხლებელი დარჩა.

სიბნელეს ამძიმებდა ის უბედურება, რომ საშუალო ცოდნისა და უნარის მქონენი ბრძენ-კაცის პოზით განიკითხავდნენ ადამიანების ბედს.

ნაციონალების დათესილი ბოროტების მცენარე შესანიშნავად ხარობს. უცხოური ორიენტაციის მახინჯი სარეველები კალიების დარად მოედვნენ სკოლას და განათლებას. განათლება ძველი დინებით მიდის. უნივერსიტეტიდან მოკვეთეს ნაციონალებისათვის არასასურველი პირები, მათ აღდგენაზე ფიქრი ლომაიას იდეების ღალატად მიაჩნიათ (ერთადერთი პიროვნება იყო აკადემიკოსი ლადო პაპავა, რომელმაც სცადა დაშვებულ გაუგებრობათა გადალახვა, მაგრამ ეს რომ დაინახეს ნაციონალებმა, სტუდენტები დაუპირისპირეს და აიძულეს, სადაც არ ჯობდა გაცლოდა). მეთორმეტე წელს დავრწმუნდით, რომ ჩვენს წინ ყრუ კედელია აღმართული. უფრო სწორად, ვიმყოფებით „მოჯადოებულ წრეში, რომლის გარღვევაც უბრალო მოკვდავის ძალებს აღემატება. ძლიერნი ამა ქვეყნისანი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ. დღევანდელ საქართველოში დროს მორგებულ ქართველებს ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად. რა ჯობია მათ მოსმენას, ტყუილისა და მართლის ნაზავს, გამოგონილი „სიახლეებით“ თავის ქებას და უმადურ მსმენელთა მისამართით გამოთქმულ საყვედურებს, რომ დაუნახავები არიან და მათ მუხლჩაუხრელ შრომას ვერ ამჩნევენ. მოჩუქურთმებულ სიტყვებს აფრქვევენ, იმას კი არ უფიქრდებიან, რომ მათი წყალობით გაუბედურებული საქართველო წელში მოხრილი მიუყვება წუთისოფლის ნარეკლიან გზას.

მცოდნე და მცირე მცოდნე თანახმაა, რომ განათლებისაგან საოცრად შორს მდგომი ლომაიას გატარებული რეფორმა იყო განათლებისა და მეცნიერების დანგრევა. მაგრამ ევროპეიზაციის ცრუ ადეპტის სიყალბეზე დაფუძნებული გაუგებარი სისტემის გადასინჯვა არავის უცდია და როგორც ღვთაებრივ წყალობას ხმის ამოუღებლად ემორჩილებიან ისინი, ვინც ერის ბედი უნდა გადაწყვიტოს. კაცმა არ იცის, სანამდე გაგრძელდება ევროპისაკენ გამრუდებული გზით სვლა (თუ ამას სვლა ჰქვია).

ძველ სამყაროში კანონებს ქვაზე წერდნენ, რომელთა ხელის ხლებაც შეუძლებელი იყო. ანალოგიური რამ ხდება საქართველოში. ვეკითხები ახლანდელ განათლების მინისტრს და უნივერსიტეტის რექტორს: ვაი რეფორმატორ და ვაი კანონმდებელ ლომაიას კანონები ქვაზეა ამოკვეთილი და მისი კორექტირება ღვთის გმობას ნიშნავს? რატომ მოქმედებთ თავდაპირველი დრაკონული სასასტიკით და არ ფიქრობთ მათ შეცვლაზე? ბატონებო, ნუთუ მოგწონთ, რაც ხდება, რატომ გრძელდება თეთრისა და შავის, მცოდნისა და მცირე მცოდნის გაურჩევლობის ნაციონალების მიერ დაჩაგვთვალონ. ამიტომ ზეიმითა და თვითკმაყოფილებით განებივრებულებს შევახსენებ, არც ისე ნეტარად არის საქმე, თქვენ რომ გგონიათ! მრავალი დამსახურებული პიროვნება ისე გამოეთხოვა წუთისოფელს, შელახული ღირსების დასაცავად ხმის ამოღება ვერ გაბედა. სად განისვენებს საზოგადოებრივი აზრი? ან სად არის საზოგადოება? ადამიანების ინტერესები საოცრად დაჩიავდა და დაპატარავდა. სამშობლოს სიყვარული მკერდზე მუშტის ცემა არ არის. თანამედროვე ქართველთა იდეალური სურათი: პატრიოტულ სამოსში გახვეული სიტყვების უშინაარსო რაკრაკი, რომელსაც „ბრძენი“ პარლამენტარებისაგან სესხულობენ (უფრო მკაცრი შეფასებისაგან თავს ვიკავებ. დეტალების შესახებ საუბარს უახლოეს ხანებში შემოგთავაზებთ).

ყველა სალოცავი თავზე დაგვალეწეს ნერგილი ბოროტი ტრადიცია? და რაც მთავარია, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ის რეალობა, რომ უნივერსიტეტის დაარსების ასი წლის შემდეგ, პროფესორთა ნაწილს, იმის გამო, რომ ლომაიას ცრუ რეფორმას არ ემხრობოდნენ, ისე მოექცნენ, თითქოს სამშობლოს ღალატი ჩაედინოთ (მხედველობაში მაქვს ნაციონალების მიღებული კანონის ურყევობა დამსახურების მინიჭებასთან დაკავშირებით. განა ეს კანონიც ქვაზე დაწერილი გვიანდერძეს და მასზე ხელის ხლება ღვთის გმობას უთანაბრდება?

დღესავით ნათელია, რომ უწესო ადამიანები უწესო გზიდან არ გადაუხვევენ და მათზე მორალის კითხვა ამაო გარჯაა. წლებია, ვიბრძვი სამართლიანობის აღსადგენად. პასუხი? თვითკმაყოფილი დიდკაცის ამაყი პოზა. მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მომდევნო თაობებს ვაჩვენებ, რომ ვიბრძოდით და ბრმებად არ ვიყავით. ამიტომ ზეიმითა და თვითკმაყოფილებით განებივრებულებს შევახსენებ, არც ისე ნეტარად არის საქმე, თქვენ რომ გგონიათ! მრავალი დამსახურებული პიროვნება ისე გამოეთხოვა წუთისოფელს, შელახული ღირსების დასაცავად ხმის ამოღება ვერ გაბედა. სად განისვენებს საზოგადოებრივი აზრი? ან სად არის საზოგადოება? ადამიანების ინტერესები საოცრად დაჩიავდა და დაპატარავდა. სამშობლოს სიყვარული მკერდზე მუშტის ცემა არ არის. თანამედროვე ქართველთა იდეალური სურათი: პატრიოტულ სამოსში გახვეული სიტყვების უშინაარსო რაკრაკი, რომელსაც „ბრძენი“ პარლამენტარებისაგან სესხულობენ (უფრო მკაცრი შეფასებისაგან თავს ვიკავებ. დეტალების შესახებ საუბარს უახლოეს ხანებში შემოგთავაზებთ).

ყველა სალოცავი თავზე დაგვალეწეს ნერგილი ბოროტი ტრადიცია? და რაც მთავარია, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ის რეალობა, რომ უნივერსიტეტის დაარსების ასი წლის შემდეგ, პროფესორთა ნაწილს, იმის გამო, რომ ლომაიას ცრუ რეფორმას არ ემხრობოდნენ, ისე მოექცნენ, თითქოს სამშობლოს ღალატი ჩაედინოთ (მხედველობაში მაქვს ნაციონალების მიღებული კანონის ურყევობა დამსახურების მინიჭებასთან დაკავშირებით. განა ეს კანონიც ქვაზე დაწერილი გვიანდერძეს და მასზე ხელის ხლება ღვთის გმობას უთანაბრდება?

დღესავით ნათელია, რომ უწესო ადამიანები უწესო გზიდან არ გადაუხვევენ და მათზე მორალის კითხვა ამაო გარჯაა. წლებია, ვიბრძვი სამართლიანობის აღსადგენად. პასუხი? თვითკმაყოფილი დიდკაცის ამაყი პოზა. მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მომდევნო თაობებს ვაჩვენებ, რომ ვიბრძოდით და ბრმებად არ

გრანი ქავთარია,
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გენერალ ქუთათელაძის მკვლელობის გამო ადვოკატი რუსთავის მერის დაკითხვას ითხოვს

გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით გიორგი ჭანტურიას ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე რუსთავის მერის დაკითხვას ითხოვს და აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, ამ დრომდე რატომ არ დაკითხეს ირაკლი ტაბაღუა, რომელიც კობაიძის თქმით, მკვლელობიდან ნახევარ საათში დანაშულის ადგილზე იმყოფებოდა:

„ტაბაღუამ სამ მთავარ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. პირველი, ის არის, რომ მისი მოსვლისთანავე, რატომ გათავისუფლა ჭანტურიები. მეორეა, რატომ დანიშნა მისი სახლიკაცი იურისტად, რომელიც მისი ნათესავია. მესამე კითხვაა, ცხონებული სოსო ქუთათელაძის გარდაცვალების ფაქტიდან დაახლოებით ნახევარ საათში, რა უნდოდა დანაშულის ადგილზე,“ — განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

რუსთავის მერია ფლობს ბაზრის 25 %-იან წილს და მართვის პროცესში უშუალოდ არის ჩართული.

სვანეთში მამის მიერ შვილების სახლში გამოკეტვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

„სვანეთში მიმდინარე მოვლენები საკმაოდ კომპლექსური და სენსიტიური საკითხია. ჩვენ ის, რაც შსს-ზე იყო დამოკიდებული, უკვე გავაკეთეთ — დავიწყეთ გამოძიება იძულების მუხლით, მაგრამ მხოლოდ გამოძიების დაწყება ამ საქმეზე და კონკრეტული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ვერ იქნება ამ საკითხის გადაჭრის სწორი გამოსავალი, ვინაიდან საკითხი კომპლექსურია, სენსიტიურია, არასრულწლოვნები არიან ჩართულები ამ პროცესებში და მიგვაჩნია, რომ სოციალური სამსახურების როლი ამ პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანია. მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები და ახალი დეპარტამენტის ფარგლებში, მზად ვართ, ყველა მხარეს მოვუსმინოთ, ვინც დაინტერესებულია ამ საქმით და ერთად მივიღოთ კანონიერი გადაწყვეტილება“, — განაცხადა დღევანდელ ბრიფინგზე შს მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა.

„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა დასჯადი ხდება!

საკანონმდებლო ცვლილებები ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერას, ქურდული შეკრების ორგანიზებას და ქურდული სამყაროს წევრისთვის, ასევე კანონიერი ქურდისთვის მიმართვას დანაშაულად აცხადებს, ასევე ამკაცრებს სასჯელს ქურდული სამყაროს წევრობასა და კანონიერი ქურდობისთვის – ამის შესახებ განცხადება დღევანდელ ბრიფინგზე შს მინისტრის მოადგილემ გააკეთა:

„შსს განაგრძობს ინტენსიურ ღონისძიებებს ქურდული სამყაროს წინააღმდეგ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი საკანონდებლო ცვლილებები იგეგმება, რის შესახებაც გვსურს, რომ საზოგადოებას ვაცნობოთ. შსს-მ უკვე მოამზადა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებების წრეს აფართოებს. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებები ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერას, ქურდული შეკრების ორგანიზებას და ქურდული სამყაროს წევრისთვის, ასევე კანონიერი ქურდისთვის მიმართვას დანაშაულად აცხადებს, ასევე ამკაცრებს სასჯელს ქურდული სამყაროს წევრობასა და კანონიერი ქურდობისთვის. აღ-

ნიშნული საკანონმდებლო პაკეტი უახლოეს დღეებში იქნება წარდგენილი შესაბამის უწყებებში“, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

შსს-მ ე.წ. ქურდული სამყაროს 6 წევრი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროში შსს-ს მიერ ქურდული სამყაროს წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ბრიფინგი გაიმართა.

შს მინისტრის მოადგილის ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, უწყება ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გეგმავს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლის პაკეტიც სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებების წრეს აფართოებს.

„ქურდული სამყაროს წევრობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და ნარკოტიკული საშუალების გამოძალვის მცდელობის ბრალდებით დანაშაულებრივი ჯგუფის 6 წევრი, მეტსახელად ჩიკი, ბუბა, ანბერგუმა და კიდევ სამი პირი თბილისში, დედოფლისწყაროსა და წნორში ერთდროულად დააკავეს. ჯგუფის სამმა წევრმა თურქეთში მყოფ ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებთან შეთანხმებით რამდენიმე მოქალაქეს ქურდული გარჩევა მოუწყო და დიდი ოდენობით თანხა გამოსძალა.ამავე პირებმა დანაშაულებრივი ჯგუფის კიდევ ერთ წევრთან ერთად, ქურდული გარჩევის გზით, ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის გამოყენებით, მათივე ნაცნობისგან მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს თანხა და მისგან ნარკოტიკული საშუალების გამოძალვას ცდილობდნენ. კიდევ ორმა წევრმა მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიღების მიზნით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა რამდენიმე პირს“, – აცხადებენ შსს-ში.

სოფელ შილდის ტყეში საბრძოლო მასალა იპოვეს

„ტერორიზმის საქმესთან“ დაკავშრებით, სუს-ის გამომძიებლებმა სოფელ შილდას ტყეში სამი ორმო იპოვეს.

ამ ადგილს სპეცსამსახურებმა გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ამოღებული კომპიუტერიდან მიაკვლიეს. ადგილობრივების ინფორმაციით, ორმოში ინახებოდა საბრძოლო მასალა, მედიკამენტები და სხვა აღჭურვილობა.

ატენის ქუჩის მოსახლეობამ ომბუდსმენის ოფისთან საპროტესტო აქცია გამართა

თბილისში ატენის ქუჩის მცხოვრებლებმა სახალხო დამცველის ოფისთან 27-სართულიანი კორპუსის მშენებლობა გააპროტესტეს და მოითხოვეს, რომ აღნიშნულ პრობლემაზე ნინო ლომჯარიამ შესაბამისი რეკომენდაციები გასცეს.

მათი განცხადებით, მერიის არქიტექტურის სამსახურმა მიუხედავად სასამართლო აკრძალვისა, კორპუსის მშენებლობის ნებართვა ხელახლა გასცა.

პარალელურად, ომბუდსმენის ოფისთან ის ადამიანებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია, აღნიშნული კორპუსის აშენებას ელოდებიან. მათი განცხადებით, დაზარალებულები თავად არიან და არა ის ადამიანები, რომლებიც მშნებლობას აპროტესტებენ. სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პრობლემას შეისწავლის.

გარდატეხის ასაკში ძალიან ძნელია ბავშვთან ურთიერთობა!

განათლების მინისტრი ახალი ინიციატივით გამოდის. ამიერიდან სკოლასა და მშობელს შორის დაიდება კონტრაქტი, რომელიც მშობლის პასუხისმგებლობას გულისხმობს. მინისტრ მიხეილ ჩხენკელის თქმით, სასწავლო პროცესში მშობლების ჩართვა, ორმხრივი ინფორმირებულობა მნიშვნელოვანია. ამიტომ სკოლა და მშობელი უნდა თანამშრომლობდნენ, სკოლამ მშობლებს სწრაფად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა სახის პრობლემებია და, პირიქით, მშობელმაც აქტიურად იმუშაოს მასწავლებელთან, სკოლის დირექციასთან. ეს უნდა იყოს ერთი გუნდი.

ექსპერტი განათლების საკითხებში **მანანა ნიკოლაიშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ სკოლასა და მშობელს შორის ყოველგვარი კონტრაქტის დადება ზედმეტია, რადგან ყველაზე დიდი კონტრაქტი თავად მშობელი და შვილია. ამდენად, სულაც არ არის საჭირო საქმის გართულება ზედმეტი ქაღალდებითა და ბიუროკრატიით. სკოლის დირექცია და კლასის ხელმძღვანელი ისედაც ვალდებულნი არიან, კარგიც და ცუდიც აცნობონ მშობელს.

– კარგ სკოლებში, სადაც არ ხდება დანაშაული და ჩხუბი, სადაც დირექტორებს საქმე კარგად აქვთ დაყენებული, მშობლებთან ყოველწუთიერი კავშირია. მართალია, ასეთი სკოლები იშვიათია, მაგრამ ნამდვილად არსებობენ კარგი დამრიგებლები. პედაგოგობა მარტო საგნის ცოდნა არ არის, პედაგოგმა ბევრი რამ იცის, მათ შორის, სამართალიც. ბავშვებს შორის ურთიერთობა როცა იძაბება, თავად კლასის ხელმძღვანელი არკვევს სიტუაციას. თუ იგი ვერ დაარეგულირებს ურთიერთობებს, მაშინვე ატყობინებს დირექციას. სასწავლო ნაწილი და ფსიქოლოგიც თუ ვერ დაარეგულირებენ, შემდეგ უკვე დირექტორს ატყობინებენ და ეს ძალზე სწრაფად ხდება. ამის მერე არის დისციპლინარული კომისია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, ანუ გააჩნია, რა დონის კონფლიქტია. ყოველგვარი კონტრაქტის დადება სკოლასა და მშობელს შორის ზედმეტად მიმაჩნია. უბრალოდ, მინისტრი მიხეილ ჩხენკელი შეცდომაში შეიყვანეს. მართალია, მინისტრს უმაღლესების საკითხი ესმის, მაგრამ ის სკოლათმცოდნე ნამდვილად არ არის, – აცხადებს მანანა ნიკოლაიშვილი, რომლის თქმითაც, ყოველგვარ კონტრაქტზე უკეთ საქმეს აგვარებს უბრალო ტელეფონი, რომლითაც კლასის ხელმძღვანელებს ისედაც აქვთ ურთიერთობა მშობლებთან და, თუ საჭიროა, სკოლაშიც იბარებენ მშობელს. ხოლო, თუკი კლასის ხელმძღვანელი არ მუშაობს, მაშინ ხდება ის ფაქტები, რასაც ბოლო დროს შევეჩვიეთ.

მანანა ნიკოლაიშვილის სიტყვით, ამ მხრივ ცალკეული სკოლები სათანადოდ არ მუშაობენ, რადგან თავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ მუშაობს და ვერ აკონტროლებს ამ სფეროს. სულ ანგელოზებიც რომ ისხდნენ სამინისტროში, მათ სკოლების გასაკონტროლებლად მართვის სტრუქტურა არ გააჩნიათ. ამიტომ კანონმდებლობაა შესაცვლელი.

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი **რევაზ აფხაზავა** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ სახელმწიფოს წინაშე არსებული განათლების მიზნების მიღწევა მშობელთა ჩართულობის გარეშე შეუძლებელია. თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი მშობელი ვერ იაზრებს იმ ვალდებულებას, რომელიც აკისრია საკუთარი შვილის განათლებისა და მოვლის თვალსაზრისით. შესაბამისად, ამ ტიპის ხელშეკრულების დადებამ შესაძლოა, მშობლებში გარკვეული ტიპის ვალდებულება გააჩინოს.

– სკოლისა და მშობლების თანამშრომლობის გარეშე სკოლა ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს. მთელ მსოფლიოში ეს ასეა და ჩვენთანაც მიდგომა უნდა შეიცვალოს. სახელშეკრულებო პირობებსა და მშობლის ვალდებულებებზე ბევრად მნიშვნელოვანია, რა ჩაიწერება ამ კონტრაქტში. ამის ირგვლივ საჯარო განხილვა უნდა მოეწყოს და საზოგადოების ფართო ჩართულობით მოხდეს ამ ტიპის ცვლილების შემოღება, – თქვა რევაზ აფხაზავამ.

საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი **ზურაბ ვახანია** მიიჩნევს, რომ სკოლასა და მშობელს შორის კონტრაქტის დადებით პრობლემა ვერ გადაწყდება, მაგრამ კონტრაქტი ხელს შეუწყობს, მშობლებმა უფრო მეტად გაიცნობიერებენ თავიანთი მოვალეობა და შემდეგ პრეტენზიებით აღარ მივიდნენ დამრიგებელთან. ასეთ შემთხვევაში, დამრიგებელს სათქმელად მაინც ექნება, რომ მშობელმა თვითონვე არ შეასრულა ხელშეკრულება.

– როგორ შეიძლება, კანონის გამოცემამ საკითხი მოაგვაროს? ასე, საგზაო მოძრაობის წესებიც არსებობს, მაგრამ მძღოლები მაინც არღვევენ ამ წესებს. ეს ადამიანთა შეგნებამ უნდა მოაგვაროს და კანონი ამისთვის პირველი და აუცილებელი ნაბიჯია. ამ მხრივ ზოგჯერ კლასის დამრიგებლებიც სცოდავენ. მათ არასაკმარისი ურთიერთობა აქვთ მოსწავლის ოჯახთან. ეს მაშინ, როცა დამრიგებელს ხშირი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ოჯახებთან. თუმცა გაცილებით მეტად სცოდავენ მშობლები. წელიწადი ისე გავა, მშობლები საკუთარი შვილის საქციელს სკოლაში ერთხელაც არ მოიკითხავენ. მერე პრეტენზიები სკოლის მიმართ აქვთ. ასეთი ძალიან ბევრი მშობელია. ისინი მარტო დაწყებით კლასებში აქცევენ ბავშვებს ყურადღებას და მერე უკვე მიატოვებენ“, – აცხადებს ზურაბ ვახანია და მიიჩნევს, რომ გარდატეხის ასაკი ყველაზე მძიმეა, ყველაზე მეტი დანაშაული ზუსტად გარდატეხის ასაკში ხდება. ამ დროს მიტოვება კი არა, ყველაზე მეტი ყურადღება სჭირდება ბავშვს.

ზურაბ ვახანიას თქმით, გარდატეხის ასაკში მართლაც ძნელია ბავშვთან ურთიერთობა, რადგან უაზროდ ჯიანობს, ჭირვეულობს, მშობელს უპირისპირდება. მშობლებმაც არ იციან, როგორ მიუდგნენ მე-8 და მე-9 კლასების ბავშვებს, ამიტომ აღარ აქვთ მათთან ძველებური ურთიერთობა. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ბუნებრივი პროცესია. ამიტომ მეტი ურთიერთობა უნდა იყოს სკოლასა და მშობელს შორის. ზოგადად, პასუხისმგებლობა მხოლოდ სკოლის მოვალეობა არ არის, გაცილებით მეტია დამოკიდებული ოჯახზე. თუ სკოლაზე პასუხისმგებლობის 20-25% მოდის, დანარჩენი მშობლებსა და ოჯახზეა დამოკიდებული.

ნანა იმერლიშვილი



ძველ ქალაქელს, ლექსის სიყვარულში დაბერებულ გურამ ჭავჭანიძეს დაბადების 85 წლისთავი შეუსრულდა, მაგრამ მაინც სულ იმის ცდაშია, რომ ახალგაზრდულად ახმიანოს თავისი „ბუკი და ნაღარა“. ამის დასტურია ქვემოთ გამოქვეყნებული პოეტის ლექსები.

გულმა ლექსად მათქმევინა

თბილისი-ქალაქს

გაუმარჯოს თბილის-ქალაქს
ძმობის ქალაქს, ტრფობის ქალაქს,
იმ აშუღს და იმ მეზურნეს,
იმ მეეტლეს და იმ დალაქს,
ყველას, ვინც აქ ჩამოვიდა,
იქნებ წავიდ-წამოვიდა,
მაგრამ გოლოს აქ დარჩა და
მისგან კაცი გამოვიდა.
ვინც თბილისის ცა მოხატა,
ვინც უმღერა თბილისელებს,
კრძალვით ქუდი მოუხადა
ლამაზმანებს, გულის მკვლელებს.
ვისაც ახსოვს საოცარი
თბილისური ეზოები,
ყველა ჯურის, ყველა გვარის
თან შეზრდილი მეზობლები.
ვისაც ახსოვს სანუკვარი
დუქნები და ყაფაზები,
მტკვარზე – ტივი, ტივზე – კვარი,
სირაჯები, ხაბაზები,
ვინც იხსენებს: „საათნოვა
რომ მღეროდა შაითანთან“,
ვისაც ტრფობამ დაათოვა
და თბილისით დაიშანთა,
ვისაც ახსოვს ანაიდა,
ერთა ძმობის მომღერალი,
გულმართალი, სათნო, წმინდა,
სიყვარულით სავსე ქალი,
გაუმარჯოს, ვინაც მტკვარში
თავი გაიმამაცურა,
თავის დროზე, ბავშვობაში,
ვინაც მტკვარი გადაცურა,
ვინც თბილისი შეიცნო და
მისი ტრფობა დაინათლა,
ვინც თბილისი შეიგრძნო და
გზა თბილისით გაინათა.
გაუმარჯოს თბილისელთა
ნაირ-ნაირ გვარ-სახელებს,
ვინც ლოცულობს თავის ღმერთთან,
მაგრამ თბილისს ასახელებს.
ყველას, ვინც აქ ჩამოვიდა,
მაგრამ სამტროდ არ მოვიდა,
ვინც შეირგო თბილისი და
თბილისელი გამოვიდა,
გაიხარეთ, თბილისლებო,
დიდებო და პატარებო,
ჩვენო დებო, ჩვენო ძმებო,
ხელისგულზე სატარებო.
გაუმარჯოს თბილის-ქალაქს,
ძმობის ქალაქს, ტრფობის ქალაქს,
იმ მეეტლეს, იმ მეჩექმეს,
იმ მექუდეს და იმ დალაქს,
ყველას, ვინც აქ ჩამოვიდა,
იქნებ წავიდ-წამოვიდა,
მაგრამ გოლოს აქ დარჩა და
მისგან კაცი გამოვიდა.

დღემდე არ მინელდება

თამარ ბ-ის ხსოვნას

შენს ლამაზ თვალებს რა დამავიწყებს,
იმ განცდამ დღემდე არ გამიარა,
გული ძალუმად ძგერას დამიწყებს,
რომ მახსენდები, როგორც იარა.

შენს სახლთან ახლოს ჩავივლი როცა,
შემომაწვება სევდა და დარდი.
იმ ლამაზ დღეებს ვიგონებ, ვლოცავ,
დაუფარავად შენც რომ გიყვარდი.

ის განცდა დღემდე არ მინელდება,
რომ დაგილურსმნეს გულის კარედი,
რომ „მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი“.

აფსუს!

„ხმალი და მკლავი ნაქები
დიდი სტალინის ხალხისა“
ანა კალანდაძე

გმირმა მსოფლიო გადაარჩინა,
შეგვინარჩუნა ეს მთა და მდელო
შენ ასე ბრიყვი რამ გაგაჩინა,
რამ დაგაბრმავა, ჩემო ქართველო?!

* * *

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
ვაჟა-ფშაველა

ამდენი ბოღმა, ამდენი ღვარძლი
რომელი ერის საკადრისია.
ვინც ვერ იგუა სტალინის ღვაწლი,
„ფურთხის კი არა, მეტის ღირსია“.

რა შუაშია ნაცია?

„ქოცი“ არი თუ „ნაცია“,
ჰაოსია თუ „ვრაცია“,
თუ კაცი ნაღდი კაცია,
რა შუაშია ნაცია?!

◎ წინ, საქართველოვ!

ძეგველი გოლიათი - იმპერატორის თასით

იაპონიაში გამართულ სუმოისტთა ჰაცუ ბაშოზე, რომელშიც სამივე დიდი ჩემპიონი (ჰაკუჰო, კაკურიუ და კისენოსატო) მონაწილეობდა, წარმატებით იასპარეზა ქართველმა გოლიათმა (192 სანტიმეტრი სიმაღლისაა და 170 კილოს იწონის) ლევან გორგაძემ. ჩვენებურს ტოჩინოშინის შიკონათი იცნობენ. 2018 წლის პირველ ბაშოზე იგი დასავლეთის მე-3 მაეგაშირას რანგში გამოვიდა. შესანიშნავი სტარტის შემდეგ ლევანმა ფინიშიც მაჟორულ ნოტზე ჩაამთავრა — მე-13 ტურში მონღოლი მძიმეწონოსანი იჩინოჯი დაამარცხა, შემდეგ იაპონელ შოჰოზანს გაუმკლავდა იოლად და ვადამდე გაინაღდა პირველი ადგილი. ამის მიუხედავად, ბოლო დღეს ისევ მასპინძლის — შოთა ენდოს ძლევით ისტორიული გამარჯვება განამტკიცა - ქართველმა სუმოისტმა 15-დან 14 შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა დათმო. დაჯილდოებისას არნახული ოვაცია მოუწყვეს — დარბაზში ფეხზე მდგარი 13 ათასამდე მაყურებელი მქუხარე ტაშითა და შეძახილებით შეხვდა მას.

ლევან გორგაძე მესამე ევროპელი და პირველი ქართველი სუმოისტია, რომელმაც სპორტის ამ სახეობის უმაღლესი ჯილდო — იმპერატორის თასი მოიპოვა.

29 წლის ლევან გორგაძე სოფელ ძეგვიდანაა. ბავშვობისას ძიუდოს ჭიდაობდა. 18 წლისა ჭაბუკ სუმოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავიდა იაპონიაში. მერე დიდი ქართველი სუმოისტის — ლევან ცაგურიას რჩევით იქვე დარჩა. 12 წელიწადია, ამმავალი მზის ქვეყანაში ცხოვრობს. შარშან თანასოფლელ გოგონაზე დაქორწინდა. ქორწილი იაპონიაში გადაიხადეს კიმონოში გამოწყობილებმა.

იაპონიაში ცხოვრობს მეორე ქართველი სუმოისტი თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ), რომელმაც ამჯერად მეორე დივიზიონ ძურიოში იასპარეზა. დასკვნითი ტურში მან მერვე გამარჯვება მოიპოვა და დადებითი ბალანსი — კაჩიკოში გაინაღდა, რითაც ლიგიდან გავარდნას გადაურჩა.

ლაშა დიდია

◎ ტყვიის სროლა

მაჭავარიანმა სეზონი „ოქროთი“ გახსნა

სახელოვანი ჩუბინის — ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძის ვაჟმა ცოტნე მაჭავარიანმა, რომელმაც 2016 წელს რიოს ოლიმპიადაზე იასპარეზა, წარმატებით დაიწყო ახალი სპორტული სეზონი. იგი საქართველოს ქალ-ვაჟთა ნაკრები გუნდების წევრებთან (ნინო სალუქვაძე, ლევან ქადაგიძე, აკაკი მოსულიშვილი, ლიზი კილაძე და ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ნინო ხუციბერიძე) ერთად გერმანულ ჰოხბრიუკში იმყოფება და იქაურ წარმომადგენლობით საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მან საკვალიფიკაციო ეტაპზე 582 ქულა (სერიების მიხედვით — 97, 95, 96, 98, 99 და 97 ქულა) მოაგროვა, ფინალში კი სხვებზე უკეთ გამოვიდა და 242 ქულით გაიმარჯვა. ვერცხლის მედალი უკრაინელთა ევროპის ორგზის ჩემპიონ პავლო კოროსტილიოვს (241.7 ქულა) ერგო, მესამე ადგილი კი 220.1 ქულით 42 წლის მსოფლიოს ორგზის იაპონელმა ჩემპიონმა ტომოუკი მაცუდამ დაიკავა. პირველი ევროპული თამაშების გამარჯვებული სერბი დამირ მიკეცი მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

ჰოხბრიუკში სხვა ქართველებმაც იასპარეზეს, მათგან ფინალში მხოლოდ კილაძე და ხუციბერიძე მოხვდნენ. ეს უკანასკნელი საბოლოოდ მე-ნ ადგილზე გავიდა.

გივი გაგუა

სურათზე: მარცხნიდან — პავლო კოროსტილიოვი, ცოტნე მაჭავარიანი, ტომოუკი მაცუდა.

◎ ფარიკაობა

„ვერცხლიც“, „ბრინჯაოც“

საქართველოს 10 წარმომადგენელი მონაწილეობდა მოხმალაველთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რომელსაც თბილისის სასპორტო კომპლექსმა „არენამ“ უმასპინძლა. შეჯიბრებაში 11 ქვეყნის 46 მოფარიკავე იბრძოდა მედლებისთვის. ქართველთაგან კარგად იასპარეზეს სანდრო ბაზაძემ და მიხეილ მარდალეიშვილმა. ჯგუფში ორივე სპორტსმენმა ყველა შეხვედრა მოიგო — სანდრომ ექვს მეტოქეს სძლია, ხოლო მიხეილმა ხუთ მოწინააღმდეგეს აჯობა.

პლეი-ოფში სანდრო ბაზაძემ (მსოფლიო რეიტინგით მე-18) გზიდან მაქსიმ პინჩუკი (ბელარუსი, 15:11), აარონ ჰუ ზე ლონგი (ჰონკონგი, 15:10), ენვერ ილდირიმი (თურქეთი, 15:12) ჩამოიშორა და ნახევარფინალში გავიდა. მსგავს წარმატებას მიაღწია მარდალეიშვილმაც (67-ე) ჯავანს აგაკიშიევის (აზერბაიჯანი, 15:8), სერგეი ანისკოვისა (ყაზახეთი, 15:5) და ბექა ბაზაძის ძლევით — 15:14. ნახევარფინალში გავიდნენ ირანელებიც — მოჰამად რახბარი (31-ე) და ალი პაკდამანი (მე-13), რომლებმაც, ასევე, ყველა პაექრობაში მიაღწიეს წარმატებას.

ნახევარფინალში რახბარიმ იოლად მოუგო მარდალეიშვილს - 15:9, სანდრო ბაზაძემ კი პაკდამანს სძლია - 15:13. ფინალში რახბარიმ ბაზაძესაც აჯობა 15:14 და პირველი ადგილი დაიკავა. ვეცხლის მედალი სანდრო ბაზაძეს ერგო, ხოლო მესამე ადგილებზე მიხეილ მარდალეიშვილი და ალი პაკდამანი გავიდნენ.

პლანეტის უძლიერესი მოხმალავეები 2-4 თებერვალს პადოვაში (იტალია) შეიკრიბებიან და მსოფლიოს თასის პირად-გუნდურ გათამაშებაში (საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს — სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე, მწვრთნელი ალექსანდრ ტორჩუკი) დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: მარცხნიდან **— სანდრო ბაზაძე, მოჰამად რახბარი, ალი პაკდამანი, მიხეილ მარდალეიშვილი.**

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ჩოგბურთი

ფედერერი ნადალს მიუახლოვდა



ავსტრალიის ღია პირველობის ექვსგზის გამარჯვებული როჯერ ფედერერი ATP-ის განახლებულ რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფ რაფაელ ნადალს 155 ქულითღა ჩამორჩება. შვეიცარიელმა კარიერაში მე-20-დ მოიგო გრანდსლენის ტურნირი.

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი მარინ ჩილიჩი სამი პოზიციით დაწინაურდა და მესამე ადგილზეა.

4 ადგილით წინ წაიწია ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა და ის ამჟამად 57-ე პოზიციაზეა.

1. რაფაელ ნადალი — 9760 ქულა

2. როჯერ ფედერერი — 9605

3. მარინ ჩილიჩი — 4960

4. გრიგორ დიმიტროვი — 4630,

5. ალექსანდრ ზვერევი — 4610,

6. დომინიკ ტიმი — 4060,

7. დავიდ გოფინი — 3460,

8. ჯეკ სოკი — 2880,

9. ხუან მარტინ დელ პოტრო — 2815,

10. პაბლო კარენო ბუსტა — 2705.

...

57. ნიკოლოზ ბასილაშვილი — 916.

ქალთა თანრიგის ფინალში დანიელმა კაროლინ ვოზნიაცკიმ სამ პარტიაში სძლია რუმინელ სიმონა ჰალეპს.

გიორგი ზოთაძე

◎ ხელბურთი

ესპანეთი - პირველად!

ხორვატეთში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ხელბურთში, სადაც მესამე ადგილისათვის მატჩში ფრანგებმა დანიას აჯობეს, ფინალში კი ესპანეთისა და შვედეთის გუნდები გავიდნენ.

პირველი ნახევარი შვედებმა ორი ბურთის სხვაობით მოიგეს. მაგრამ შესვენების შემდეგ ბრძოლა თავიდან ბოლომდე ესპანელების იყო, რომლებმაც ფავორიტის სტატუსი სრულად გაამართლეს და დამაჯერებლად 29:23 მოიგეს.

ევროპის ჩემპიონთა შემადგენლობაში 5-5 გოლით ყველაზე შედეგიანები სოლე და ბალაგერი იყვნენ. ესპანეთისთვის ეს მეხუთე ფინალი გახლდათ, ტიტულის მოპოვება კი მათ პირველად შეძლეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

აუზიდან - სტუდიაში

სამხრეთ ფლორიდაში აღზრდილი და დაფრთიანებული, წარმოშობით კი ნიდერლანდელი ფოტომოდელი, მსახიობი და, უბრალოდ, სექსბომბა ბიანკა ჰოლანდი ყმაწვილქალობაში მოცურავე ყოფილა, მაგრამ დროთა მდინარებამ აუზიდან ამოიყვანა და მამრთა წინაშე ტიტლიკანად წარმოაჩინა.

მკერდის გრანდიოზულად ზრდამ და ვნებისაღმძვრელობის მატებამ ერთ დროს სპორტით გატაცებული ასულით ისეთი ფოტოსტუდიები დააინტერესა, იქ ერთი თვალით შეჭყეტვაზე მრავალი კაცი რომ ოცნებობს და დღეს ბიანკა ჰოლანდი ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ცნობილი ფოტომოდელია.

რაც შეეხება ჰოლანდიურ ფესვებს, — ამაზე ეს მდედრი თითქმის არასოდეს ლაპარაკობს. ვიღაც-ვიღაცეები კი ეუბნებიან, ასე ყველაფრის მივიწყება და მიყურისძირება არც ისე კარგი საქციელიაო, მაგრამ ბიანკამ რაიმე გულთან რომ მიიტანოს, ჯერ უზარმაზარი მკერდი აქვს გასავლელი....

როსტომ რაჭველიშვილი

ს.ს.ი.პ - წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე
		ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი მარტვილი, ნახარებაოს დასახლება, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 7000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი მარტვილი, ნახარებაოს დასახლება
8	აუქციონის საწყისი ფასი	226 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	22,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	313 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 31 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 1 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 1 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 1 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის
		დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. თ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გეგუთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე ჭაზე ერთად) – 40 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გეგუთი
8	აუქციონის საწყისი ფასი	670 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	67 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	535 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 31
	მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 1 მარტს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 1 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 1 მარტს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი

		პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭების თავმორთულობის მოწესრიგება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. თ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (სამივე ჭაზე ერთად) – 60 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1006 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	100,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	703 ლარი
